პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ., № 4. რედაქცია ღიაა
ყოველ დღე გარდა
უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 1476. მდივნის
№ 19 სსერთო №

№ 227 შაბათი, 3 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 3 დეკემბერი, 1921 წ. № 227

3 დეკემბერი
შაბათი

1917. გაუქმებულ იქნა უმაღლეს მთავარსარდლის დუხონინის შტაბი.

1889. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის გაერთიანებულ კონგრესის გახსნა.

1882. მინისტრების თათბირი სტუდენტების გაგზავნის შესახებ დისციპლინარულ ბატალიონებში სტუდენტების არეულობაში მონაწილეობისათვის.

არჩევნების მოლოდინში

რაც უფრო გვიახლოვდება არჩევნები თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ხელში ჩვენი ქალაქის სვებედი და ფაქტიურათ მეთაურობა გაუწიოს მომავალ საბჭოებს, მით უფრო გამოცოცხლება ეტყობა მუშათა რაიონებს და დაწესებულებებს, მით უფრო მოუთმენლობით ხდებიან მოცული მასები. რაიონებში, სამრეწველო დაწესებულებებში ეწყობა საარჩევნო კრებები, რომლებიც იწვევენ ღრმა ინტერესებს ჩვენი მუშებისას. კრებებს ესწრებიან მასიურათ და ტარდებიან ისინი დიდი სიცხოველითა და აღფრთოვანებით. ყოველისფერი მოწმობს, რომ მიმდინარე საარჩევნო კომპანიასთან, თვით მომავალ საბჭოებთან დაკავშირებული არიან მრავალმხრივი და ღრმა ინტერესები არა მარტო იმ საზოგადოებრივი ძალების, რომლის ძალა-უფლების ორგანო ის იქნება, არამედ მათიც, ვის წინააღმდეგ ბუნებრივი აუცილებლობით მიმართული იქნება მთელი მისი მომავალი მოღვაწეობა. სხვა მმოქმედ ჩვენ მოწინააღმდეგეთა შორის უმთავრესი, უმთავრესი არა თავისი დღევანდელი რეალური ძალით და რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენით მშრომელთა ფართო მასსებში, არამედ ტრადიციით, არის მენშევიკური ჯგუფები, რომლებიც აქა იქ გვაგონებენ კიდევ თავის არსებობაზე და თუ სულ არა აშკარათ, ფარულათ მაინც, უპარტიოთა ნიღაბქვეშ, სინჯავენ თავის ძალებს.

ნოემბრის პირველ დღეებში, როდესაც უშედეგოთ სცადეს გამოეწვიათ რკისის გზელთა გაფიცვა, მათ განიცადეს სასტიკი, კიდევ დარჩენილი პოლიტიკური და მორალური გავლენის დამარცხება ჩვენ მუშათა შორის. რაც უფრო დრო მიდის და თანდათან ჰკარგვენ ისინი ყოფილ „სამწყსოს“ უკანასკნელ ნაშთებს, მით უფრო ადვილათ გადადიან ავანტიურიდან ავანტიურაზე. რამდენადაც მათ ერთეულ, პოლიტიკურათ განწირულ, ჯგუფებს სადმე შერჩენიათ კიდევ რაიმე უნარი მოღვაწეობის ან გამოსვლის, ყველგან ეს „მოღვაწეობა“ და ეს „გამოსვლა“ ობიექტიურათ იღებს რღვევისა და დაშლის ხასიათს, მათი აქტიორები გამოდიან საქმით ანარქიის და არევდარევის აგენტებათ და როგორც ასეთები მიმართული არიან არსებითად ჩვენი მშრომელი ხალხის სასიცოცხლო, როგორც ყოველ-დღიური, ისე საბოლოო, ინტერესების წინააღმდეგ. ცხადი ხდება ყველასათვის, რომ არა გაფიცვებით, არა ტრანსპორტის მოშლით და მიმოსვლის შეჩერებით, არა სამუშაოების თავის მინებებით, მიიღებს ქალაქის მუშა ან თვით რკინის გზელი მისთვის საჭირო პურს და ფეხსაცმელ-ტანსაცმელს, არა იგივე ტრანსპორტისა და ქალაქის მრეწველობის შეჩერებით, მაშინების მოშლით მიიღებს დღეს სოფლელი გლეხი საჭირო საგნებს: დამშეული სოფლები საკვებ და სათესლე სიმიდსა და ხორბლეულობას ჩამოკონკილი ხალხი შესამოსს და სხვ. არამედ შეუწყვეტელი მუშაობით. მუშათა უზრუნველყოფით სურსათის მხრით, მეურნეობის აღდგენით, ტრანსპორტის მოწესრიგებით, ერთი სიტყვით აღმშენობლობითი მუშაობით და არა ყოვლის ჩამშლელ, ყოვლის გამანადგურებელ გამოსვლებით, რომლებითაც საკმაოდ ისახელეს თავი აქ შემორჩენილმა მენშევიკებმა, გარეშე და შინაური რეაქციის აგენტებმა, ჩვენი მეურნეობის ნგრევისა და ქვეყნის სიმდიდრის გაფლანგვის მოციქულებმა. საქართველოს მენშევიკებს და იმ ჯგუფებს, რომლებიც მათ მისდევდნენ და მისდევენ დღესაც ფაქტიურათ, მხოლოთ ერთი რამის უნარი შესწევთ კიდევ: რადგან მათი საქმე საბოლოოთ დაღუპულია, შეეცადონ იქ, სადაც ეს კიდევ შეუძლიათ და მოახერხებენ, რღვევა და ნგრევა შეიტანონ და „მეც წავხდი შენც წაგახდინე“-ს გზით იარონ. პირველი მათი განძრახვას და გამოსვლას ამ მიზნით საკადრისი პასუხი გასცეს საქართველოს და კერძოთ თფილისის მუშებმა. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ იგივე თფილისის მუშები და კერძოთ რკინის გზის—ღირსეულათ დააფასებენ მომავალ არჩევნების დროსაც და დამსახურებულ ჯილდოს მიუზღავენ მათ.

ტფილისის საბჭო ეს პირველი ციხე-სიმაგრეა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის. მისი შემადგენლობა უნდა იყოს აღჭურვილი ისეთივე მტკიცე რევოლიუციონური ნებისყოფით შიგნით, როგორც მტკიცეა მის დამცველთა ლაშქარი გარეთ. ასეთები არიან კომუნისტები. მუშებო და წითელ არმიელებო! აირჩიეთ თფილისის საბჭოში კომუნისტური (ბალშევიკური) პარტიის კანდიდატები.

თბილისის მუშა ქალებო, ემზადეთ საბჭოთა არჩევნებისთვის

ახლოვდება დღე საბჭოს მოწვევისა თბილისში. ენერგიულათ ემზადებიან ამ დღისათვის მშრომელები.

პროლეტარიატისათვის ეს დღე ისტორიულია, როდესაც პირველათ მთელ რევოლიუციონურ ხანაში თვით მშრომელთა მასსების სიღრმიდან გამოცხადდება ნამდვილ პატრონი ქალაქისა, ორგანო მშრომელთა ნამდვილი ძალაუფლების.

თბილისის საბჭოს ძლიერმა ხმამ, უნდა მისცეს მკაცრი და გადამწყვეტი პასუხი საბჭოთა საქართველოს ყველა მტრებს, მათ ვინც აქ, საქართველოსა, მშრომელთა გულში თბილისში, ეწევიან თავიანთ ბნელ და მალულ ალმაშფოთებელ მუშაობას, და მათაც, ვინც ევროპიდან ემუქრებიან საქართველოს და იქაური იმპერიალისტების დახმარებით იმედოვნებენ აღიდგინონ თავიანთი დაკარგული ბატონობა.

პროლეტარიატი ემზადება ამ საბჭოს არჩევნებისათვის. დიდი სამუშაო ელის მას: მან უნდა მოაწყოს ქალაქის მეურნეობა, აღადგინოს მრეწველობა, თავისი მუშაობით უნდა აღნიშნოს გზა დანარჩენი საქართველოსათვის, რომლის თვალ ყური მოქცეულია თბილისისაკენ.

მორიგი ამოცანები, რომლებიც სდგებიან საბჭოს წინაშე დიდია.

თბილისის მუშა-ქალს, დედას, მეუღლეს, დიასახლის, რომელიც იძულებულია მძიმე პირობებში ზარდოს ბავშვები მამაკაცთან ერთად იბრძოლოს და გაიკვლიოს გზა ახალი ცხოვრებისაკენ, უნდა ახსოვდეს, რომ არჩევნებისადმი მის შეგნებულ მოპყრობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ქალი უფრო ჩამორჩენილია ცხოვრებაში, ვინემ მამაკაცი. განმათავისუფლებელ პროლეტარულ რევოლიუციის წყალობით მან მოიპოვა ერთნაირი უფლება მამაკაცთან.

უნდა შევსძლოთ სარგებლობა ამ უფლებებით. აუცილებელია მეტი მოქმედების გამოჩენა არჩევნებში.

მუშა-ქალო, უნდა დაფიქრდე არჩევნების წინ და გახსოვდეს ერთი, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ სიტყვით კი არა მარტო, არამედ საქმით გაანთავისუფლა ქალი და ეხლა ის მთელ მსოფლიოში აქცევს სერიოზულ ყურადღებას ქალს—მონას,—რომ გამოიყვანოს ის რევოლიუციონური პროლეტარიატთან თანასწორ მებრძოლათ კომუნიზმისათვის.

თბილისის მუშა და მშრომელო ქალო, ემზადე არჩევნებისათვის, ჩვენი განთავისუფლება შეიძლება, მხოლოდ ჩვენივე საკუთარი ხელით, ჩვენი საკუთარი მუშაობით და მონაწილეობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ემზადე საბჭოს არჩევნებისათვის, მიიღე მხურვალე მონაწილეობა მუშა მამაკაცებთან ერთათ საარჩევნო მუშაობაში, მიეცი ხმა კომუნისტურ პარტიის კანდიდატებს.

გაუმარჯოს წითელი ქალაქის მომავალ საბჭოს და მასში მუშა ქალების მონაწილეობას.

ს. დალნიაია.

თფილისის საბჭო ეს მშრომელთა ძალა უფლების პირველი ორგანოა. ამიტომ იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ ძალა-უფლების მტრებს. ასეთები არიან ქართველი მენშევიკები და მათი ამყოლი ნაციონალისტური ჯგუფები. მუშებო და წითელ არმიელებო! დაჰგმეთ ისინი ერთხმათ. ამოირჩიეთ ყველგან კომუნისტური (ბალშევიკური) პარტიის კანდიდატები.

საქართველოს წითელ არმიის უპარტიო კონფერენციის გამო

გუშინ გაიხსნა პირველი უპარტიო კონფერენცია საქართველოს წითელი არმიისა. ამ კონფერენციას საქართველოს წითელი არმიის არსებობაში და მის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყველასათვის აშკარაა, რომ წითელი არმია ეს დედა ბოძია მუშათა კლასის ხელისუფლების. ამიტომ კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა საქართველოს ერთი უმთავრესი და უდიდესი საგანია საქართველოს წითელი არმიის შექმნა როგორც რევოლიუციით მონაპოვართა უშუალო დამცველის.

საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობა მშრომელი მასის და წითელარმიელთა საზოგადო განვითარება-შეგნებას.

ჯერ კიდევ ისტორიას არ ახსოვს უპარტიო კონფერენციების მოწყობა ჯარში. ჩვენ ვიცით რომ საბჭოების მთავრობამდე არსებულ მთავრობებს ასეთი მოვლენა თავში აზრადაც არ მოუვიდოდათ.

ჩვენ ვიცით რომ ჯარი ძველი მთავრობის, ერთის მხრით ნიკოლოზ მეორის, შემდეგ მენშევიკ-ესერების ბატონობის დროს ყურ-მოჭრილი მონა იყო გაბატონებულ კლასთა და თავის მხრით გაბატონებული კლასები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ რათა არმია ყოველთვის და ყოველგან პოლიტიკის გარეშე დაეყენებინა, რათა არმია, ეს ნამდვილი ღვიძლი შვილი მშრომელი ხალხისა, არ გამოსარჩლებოდა თავის უკუღმართ ბედს, თავის მონურ მდგომარეობას.

მას შემდეგ რაც კი მოელო ბოლო გაბატონებულ კლასთა თარეშს და დაიმსხვრა მათი სახელმწიფოებრივი აპარატი, მას ქვეშ მოყვა მონობის სისტემაზე აგებული არმიაც. მას შემდეგ რაც კი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მშრომელი ხალხის ხელში გადავიდა ეჭვს გარეშეა მონობის დისციპლინას მუშათა კლასის არმიაში საკუთარი ინტერესების ფეხ-ქვეშ გათელვას და ყოველგვარ უვიცობა-უმეცრობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოელო.

დღეს არმია ღვიძლი შვილია მუშათა კლასის, ის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია მშრომელი კლასის.

პირიქით საბჭოების მთავრობა კომუნისტური პარტია, მთელ თავის ძალ-ღონეს ცოდნას და უნარს ანდომებს არმიის გათვითცნობიერებას და განათლებას. საბჭოთა ხელისუფლება ღრმათ არის დარწმუნებული იმაში, რომ წითელი არმია, ეს არის და იქნება მშრომელთა შეიარაღებული კავშირი, მუდამ ვამზადებული, საბრძოლველად უკეთეს მერმისათვის,—კომუნიზმისათვის.

რათა წითელ არმიაში პოლიტიკურ განათლების სწავლა-აღზრდის საქმე სათანადო დონეზე იყოს დაყენებული, რათა წითელი არმიელი შეიქმნეს შეგნებული მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოთ აღმოიკვეთოს მათში უვიცობა და შეუგნებლობა საკუთარი ინტერესებისა, საბჭოების ხელისუფლება აარსებს ამ მიზნით განსაკუთრებულ ორგანოს არმიაში, პოლიტიკურ სამმართველოს. ამ ორგანოს უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ არმიაში შექმნას ნამდვილი ამხანაგური დისციპლინა და იგი აქციოს კომუნიზმის ერთ საუკეთესო დამცველათ. საბჭოთა ხელისუფლების არმია ეს აქტიური მონაწილეა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. ამ მხრით არმიას დიდი გაწვრთნა და აღზრდა ჰირდება. ისტორიაში, მას ამ მხრით, ტრადიცია არ აქვს.

ამიტომ არის რომ დღეს წითელი არმია თითქოს იმ დიად როლს, რომელიც მას აქვს დაკისრებული საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში სათანადოთ ვერ ასრულებს. მით უმეტეს ეს ითქმის საქართველოს წითელ არმიაზედ. იგი ერთი ორად უფრო დამონებული და განია რალ ცნული იყო და მოშხამული მენშევიკური ნაციონალიზმით.

იგი ჯერ კიდევ არ არის გაწვრთნილი პოლიტიკურად. და განა შეიძლება ლაპარაკი პოლიტიკურ აღზრდა ან გაწრთვნაზე, როდესაც საქართველოს წითელი არმიის 60—70 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია. წითელარმიელთა მასა გამოსული უმთავრესად სოფლის წიაღიდან, გამოსული გლეხურ ოჯახიდან, რასაკვირველია, მოკლებულია პოლიტიკურ მომზადებას.

საქართველოს წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო ცდილობს, რომ ეს რიგს გარეშე დამდგარი საკითხი სასწრაფოთ გადაჭრას. დღეს ყველასათვის ცნობილია რომ წითელ არმიელთა მასის პოლიტიკურად აღზრდის საქმეში საჭიროა მათში, რაც შეიძლება მეტი თვით შემოქმედების და აქტივობის გამოწვევა. სკოლა, კურსები, ბიბლიოთეკა, კლუბი, კინო, თეატრი, ლექციები, პარტიული აგიტაცია და პროპაგანდა სხვა და სხვა ხასიათის კომფერენციები, ყრილობები, სხდომები, კრებები, და არჩევნები, აი ფორმები და საშვალებანი, რომელმაც უნდა დასძრან გაყინულ წერტილიდან წითელარმიელის შეგნება-შემეცნება.

საქართველოს წითელი არმიის უპარტიო პირველი კონფერენცია მოწვეულია, რათა, ერთის მხრით, ჯარი ჩააბას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში და მეორეს მხრივ, შეაჩვიოს თვითმოქმედებას და ამრიგად წასწიოს წინ რაც შეიძლება მისი საერთო განვითარება.

ჩვენ ღრმადა გვრწამს რომ ის საკითხები, რომელნიც დასმულნი არიან კონფერენციაზე, ერთნაირ ღრმა გამოძახილს მოიპოვებენ წითელ არმიელებში.

კონფერენციამ უნდა გაარჩიოს მთელი რიგი საკითხებისა, გამოიტანოს სათანადო დადგენილებანი და ამ რიგად მოფინონ ისინი წითელ არმიელთა ფართო მასას. კონფერენციის საგანს შეადგენს დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის საბჭოთა დეპუტატების მეცხრე ყრილობაზე. კონფერენციაზე გარჩეულ იქნება ფრიად საყურადღებო საკითხები. მაგ., საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა საბჭოთა ფედერაციისა. „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია“ «საბჭოთა მთავრობის ახალი ეკონომიური პოლიტიკა“, «პოლიტიკურ განათლების საქმე წითელ არმიაში“ და ვოლგის მხარის დამშეულთა დახმარება. ყველა ეს საკითხები უნდა სიდინჯით და დაკვირვებით გადაწყვეტილ იქნეს კონფერენციაზე.

ჩვენ რამდენათაც ვიცით, ყველა ეს საკითხები გარჩეულ იქმნენ კონფერენციისათვის არჩევნების წინ. წითელ არმიელთა მასა არჩევნების წინ აღფრთოვანებით ეგებებოდა ყოველ მომხსენებელს და სრულის თანაგრძნობით შეგნებით ემხრობოდა ხოლმე კომუნისტურ პარტიის წარმომადგენლების წინადადებას და რეზოლიუციებს. ეს გარემოება ნათელი დამამტკიცებელია მისი, რომ წითელი არმია არის და იქნება ერთი საუკეთესო დამცველი მშრომელთ სახელმწიფოსი, რომ ის სრულ ნდობას უცხადებს კომუნისტურ პარტიას.

ჯარების ნაწილებიდან ჩამოსული დელეგატები მოწმობენ რომ, პროვინციაში წითელ არმიელთა მასა კონფერენციას გაორკეცებული აღფრთოვანებით შეეგება. მათი გადმოცემით საზღვარი არ ქონდა წითელ არმიელების გაკვირვებას, როდესაც მათ გაიგეს, რომ ისინი ირჩევენ დელეგატს სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე, ჩვენ ღრმად გვრწამს რომ საქართველოს წითელი არმია ახლო მომავალში პოლიტიკურად გაიწრთვნება, აღიზრდება, შექმნის სიმტკიცეს და სიმაგრეს საბჭოების საქართველოსას.

ჩვენი გულ-წრფელი სალამი საქართველოს წითელი არმიის პირველ უპარტიო კონფერენციას.

ა. კვირიკაძე.

თფილისის საბჭომ უნდა მოაწყოს ქალაქის დანგრეული მეურნეობა. მენშევიკები და ნაციონალისტური პარტიები თავის გამოსვლებით ხელს უწყობენ ცხოვრების კვლავ დაშლა-აფორიაქებას. ისინი განდევნილ უნდა იქნენ ყველა დაწესებულებებიდან. მათ ადგილი არ უნდა ჰქონდესთ თფილისის მომავალ საბჭოში. მუშებო და ჯარის კაცებო! აირჩიეთ იქ კომუნისტები.

კიდევ 700,000 ფუთი პური

გუშინ მიღებულია ცნობა რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატიდან, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში ბათომში ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საჭიროებისათვის მოვა კიდევ 11700 ტონა პური, ე. ი. 700,000 ფუთი.

პური შესყიდულია ეგვიპტეში და მოვა ალექსანდრიიდან.

რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის და გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ 15 ოქტომბრიდან შესყიდული პურის რაოდენობა უდრის 2,230,000 ფუთს.

ამნაირად პურის საერთო რაოდენობა 1,000,000 ფუთ პურთან ერთათ, რომელიც უკვე შემოდის უკრაინიდან, შეადგენს ამიერ-კავკასიისათვის 3,230,000 ფუთს.

მომავალი საბჭო ჩვენი ქალაქის, ყველა საბჭოები ჩვენი ქვეყნის უნდა იყვნენ ორგანოები სხვა და სხვა ეროვნებათა მშრომელების ძმური კავშირის. თფილისის საბჭო უნდა შეიქნეს ერთ-ერთ მებაირაღტრეთ ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის. შორს ამ საბჭოდან ყველა მტრები ასეთი სოლიდარობისა და საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის. აირჩიეთ კომუნისტური პარტიის კანდიდატები!

საქართველოს მშრომელნი მხარს უჭერენ ფედერაციას

ფოთი.

27 ნოემბერს შესდგა ს. კ. პ. ფოთის ორგანიზაციის კრება, რომელსაც დაესწრო 300 მეტი ამხანაგი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი. მოხსენების გარშემო ცოტა ხნის კითხვა-პასუხის მიცემისა და ამხ. ლამბაროვის საბოლოო სიტყვის შემდეგ, კრებამ ერთხმათ და აღფრთოვანებით მიიღო კავბიუროს, ს. კ. პ. ცეკას და თბილისის კომიტეტის დადგენილების შინაარსის რეზოლიუცია. კრება დასრულდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით და საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირის განმტკიცების სურვილის გამოთქმით.

ბათომი.

29 ნოემბერს შესდგა ქ. ბათომის ყველა წარმოებების და ბათომის რკინის გზის კვანძის მუშების ფართო მიტინგები. „ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის“ თემაზე. ორი დღით ადრე მოხდა პროფ. საბჭოსა და ფაბრიკა-ქარხნების შეერთებული სხდომა, რომელზედაც ერთხმათ მიიღეს საოლქო პარტკომის რეზოლიუცია საკავშირო გაერთიანების შესახებ. ფართო მიტინგები ბრწყინვალედ ჩატარდენ. გაწვეული პარტიული ამხანაგები და მათ რიცხვში თბილისიდან ჩამოსული ამხ. ელიავა და ორახელაშვილი გამოვიდენ მიტინგებზე. მრავალ რიცხოვან აუდიტორიას არ დასჭირვებია ბევრი მტკიცება ფედერაციის საჭიროებაზე. ყოველი მხრიდან ადასტურებდენ ამის საჭიროებას და აგრეთვე იძლეოდენ გაკვირვებულ კითხვებს: ნუ თუ გვჭირდება ამის მტკიცება ჩვენ, საქართველოს მუშებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ვიბრძოდით მეზობელ რესპუბლიკების პროლეტარიატთან ერთ რიგებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და კაპიტალის ბატონობისაგან სრულ განთავისუფლებისათვის?

რეზოლიუციები ფედერაციის სასარგებლოთ ყველგან ერთხმათ მიიღეს.

საქართველოს წითელ ლაშქარში.

№ საბჭოთა მსროლელ ლეგიონის წითელ არმიელთა 28 ნოემბრის საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 600-დე წითელ-არმიელი, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

»ჩვენ, მუშათა და გლეხთა ლეგიონის წითელ-არმიელებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, ღრმად გვრწამს, რომ პოლიტიკური-ეკონომიური შეკავშირება ამიერ-კავკასიის ერების თავდებია ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებისა ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში და ყველა ჯურის კონტრრევოლიუციებზე.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, ხელმძღვანელს საერთაშორისო მოძრაობისას“.

— საქართველოს წითელ ლაშქრის ნაწილების, სამხედრო სახალხო კომისარიატის და ლაშქარის მომარაგების სამმართველოს გაერთიანებულ კომმუნისტურ იაჩეიკის კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის ამხ. ოკუჯავას მოხსენება „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ფედერაციის საკითხის შესახებ, სთვლის უმაღლეს პარტიულ ორგანოთა ამ გადაწყვეტილებას სწორად და დროულად, რომელიც ნაკარნახევია ხსენებულ რესპუბლიკათა ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობით და ფიცსა სდებს მთელი ძალ-ღონე მოახმაროს მისი საჩქაროთ და გადაუხვევლად ცხოვრებაში გატარებას. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციას, რომელიც არის თავდები ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსების ძმურ სოლიდარობისა და გაერთიანების შეერთებულ ბრძოლისთვის ეკონომიურ ნგრევასთან და გარეშე კაპიტალისტურ მსოფლიოსთან“.

მუშები—ცეცხლის მქრობელნი.

ცეცხლის მქრობელ რაზმის მუშათა საერთო კრებაზე ამხ. მაჩაიძის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მაჩაიძისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანების შესახებ, ჩვენ მივესალმებით საოლქო თათბირს—კავბიუროს გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა გაერთიანებას, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურ მხრივ. მხოლოდ კომუნისტური პარტია ანთავისუფლებს მუშებს და გლეხებს მჟვლეფელთა მონობისაგან. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიის ბელადს ამხ. ლენინს“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

მოსკოვი. 2 ნოემბერი, (რადიო). შორეულ ჩრდილოეთიდან მოსკოვში დაბრუნდა რუსეთ ფინეთის მოსაზღვრე კომისიის თავმჯდომარე ამხ. (გვარი გაურკვეველია). კომისიას დაუმთავრებია ფრიად მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობა—ახალ საზღვრის გაყვანაში ფინლიანდიასთან ყინულოვან ოკეანეს მახლობლად. კომისიას დიდ დაბრკოლებებს გადალახვა და ბრძოლის გაწევა უხდებოდა ფინების მოთხოვნილებების გამო, რომელთაც სურდათ ხელთ ეგდოთ თევზით მდიდარი რაიონები. მუშაობა შესრულდა კომისიის მუშა—კომუნისტთა ენერგიული და შეუპოვარი მუშაობით.

ბინის ნორმა სამეცნიერო დარგის მოღვაწეებისათვის.

მოსკოვი. 16 ნოემბ. სამეცნიერო დარგის მოღვაწეების მოსკოვში უზრუნველყოფისათვის მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო მეცნიერების ყოფა—ცხოვრების გამაუმჯობესებელ მოსკოვის კომისიას მოხსნას საბინაო განყოფილების აღრიცხვიდან სამუშაო კაბინეთი, ბინა ლაბორატორიისათვის, სახაზავი ოთახი, ბინა კოლექციისათვის და სხვა მოწყობილი ოთახები, რომლებიც საჭირო სამეცნიერო დარგის მოღვაწეებისათვის თავის სპეციალობაზე სამეცადინოთ, მაგრამ არა უმეტეს 1 ოთახისა ბინაზე. სამეცნიერო დარგების მოღვაწეებმა უნდა მოამარაგონ სათანადო მოწმობები მეცნიერების მუშაკთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიისაგან. სამეცნიერო დარგის მოღვაწეთა, ბინის დანარჩენი სივრცე უნდა გამოყენებულ იქნას არსებულ ნორმების მიხედვით. ამასთანავე, ბინის განთავისუფლების ან მის ანგარიშზე ალების მომენტიდან სამეცნიერო დარგის მოღვაწეებს უფლება ეძლევათ ორი კვირის განმავლობაში შესახლონ ვინმე თავის სურვილით. დადგენილების თანახმად, სამეცნიერო დარგის მოღვაწეებზე და მათი ოჯახის წევრებზე არ ვრცელდება იძულებითი გამოსახლება ან გადასახლება.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ბერლინის გაფიცვების გარშემო.

ბერლინი, 1 დეკ. (რადიო). შრომის მინისტრის დახმარებით ბერლინის წარმოებების მუშებისა და მოსამსახურეების გაფიცვა დასრულდა. ოლდერმანმა მიიღო მუშების ყველა წინადადებები, რადგანაც გამოირკვა რომ გაფიცვა გამოიწვევდა უფრო მეტ ზარალს, ვიდრე ჯამაგირების მომატება. 10 საათის გაფიცვამ წარმოებებს მიაყენა 6 მილიონი მარკის ზარალი.

ბრძოლა მევახშეობასთან.

ნაუენი, 1 დეკ. (რადიო). გერმანიის მთავრობამ გააძლიერა დამსჯელი ზომები მევახშეობის წინააღმდეგ. სასამართლოების ყველა დადგენილებები მევახშეობის წინააღმდეგ გამოქვეყნებული იქნება გაზეთებს გარდა განსაკუთრებულ აფიშებშიც.

მორატორიუმი გერმანიისათვის.

ბორდო. 29 ნოემბერი. (რადიო). ბრიტანეთის მთავრობამ გადასწყვიტა აღძრას საკითხი გერმანიისათვის მორატორების გამოცხადების შესახებ.

პარიზი. 29 ნოემბერი. (რადიო). „ტანი" იუწყება: კერძო თათბირის დროს ვივიანმა განაცხადა, რომ მას შეუძლია დათანხმდეს გადასინჯოს გერმანიის ვალების საკითხი ვაშინგტონის კონფერენციაზე შემდეგი პირობებით: 1) თუ სახელმწიფოები დაუდგებიან თავდებათ, რომ გერმანია შეასრულებს ვალების გადახდის ახალ პირობებს, 2, გერმანიის მიწვევა კონფერენციაზე ზედმეტია და შეიძლება დაშვებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიძრება საკითხი კონტრიბუციის შესახებ, რაც საეჭვოა, 8) გერმანიას არ აქვს კოლონიები წყნარ ოკეანეზე და ამიტომ მას არ აინტერესებს საზღვაო ფლოტის განიარაღება. გერმანიის სახმელეთო განიარაღება კი უკვე დამტკიცებულია და ამიტომ გერმანელების დასწრება ამ კონფერენციაზე ზედმეტია.

გერმანიის მუშათა კონფერენცია.

მოსკოვი, 2 დეკ. რადიო . შესდგა შეერთებული კონფერენცია გერმანიის სახელმწიფოს ყველა ოლქების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დელეგატებისა, ყველა პოლიტიკურ და მუშათა პარტიებისა, უპარტიო პროფესიონალურ კავშირებისა და ბერლინის მწარმოებელ პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებისა. კონფერენციის თავმჯდომარემ ბალშტაბმა თვის მისასალმებელ სიტყვის შესავალში აღნიშნა, რომ კონფერენცია უნდა შეეხოს ერთ მილიონ პროლეტარულ ფრონტის აღდგენას. ოფიციალურ სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლის ცდა კონფერენციის ჩასაშლელად, უნაყოფოდ ჩატარდა თვით სოციალ-დემოკრატ მუშების წინააღმდეგობის გაწევით. დიდ მღელვარების გამო კრებამ უარჰყო პროტესტის მოსმენა ბერლინელ სოციალ დემოკრატთა მესვეურებისა რომლებიც უარს აცხადებდენ გერმანიის კომპარტიის მიერ მოწვეულ კონფერეციაში მონაწილეობის მიღებაზე, მიუხედავად ამისა სოციალ დემოკრატიულ მწარმოებელთა კავშირების წარმომადგენლებმა წარმომდგინეს მოთხოვნილება ერთ მთლიან პროლეტარულ ფრონტის შექმნის შესახებ. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლის თანახმად გერმანიის შეერთებულ პროფ-კავშირებს ევალებათ მოიწვიონ ბერლინში ყველა წარმოებითი კავშირების საერთო ყრილობა. ყრილობამ უნდა განიხილოს: 1) საკითხი პოლიტიკური მოქმედების ხაზის გასატარებლათ, 2) გადასახადთა მძიმე ტვირთის მოხსნა და მის გადატანა შეერთებულ კლასებზე, რეალურ ღირებულებათა ხელში ჩაგდებით. 3) სახალხო კვებისა უზრუნველ ყოფა განმანაწილებელ აპარატის გადაცემით პროფესიონალურ ორგანიზაციათა ხელში.

4) სასურსათო პროდუქტების წარმოების ორგანიზაციის გადაცემა მუშათა კოოპერატივებისათვის.

5) გერმანიის სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებით განხილვა იმ 10 მოთხოვნილებისა რომელიც წარმოდგენილია პროფესიონალურ კავშირებისა და დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიისაგან. კონფერენციამ დანიშნა საკონტროლო კომისია, რომელშიაც შედიან პოლიტიკურ და მუშურ პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ კონფერენციის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. მუშათა საბჭოები აღფრთოვანებით ეგებებიან კონფერენციას და აღნიშნავენ რომ ბერლინის მუშებმა შექმნეს საკუთარი ორგანო, რომელიც აერთებს მუშებს და რომელსაც გადასცა თავის რწმუნებები. გერმანიის ბურჟუაზია შეშინებულია კონფერენციის რადიკალიზმით და სოციალისტ და კომუნისტ მუშების სოლიდარობით. გაზეთები ცდილობენ ბრალი დასდონ კონფერენციას კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებებში.

ამერიკა

ლორდ კერზონის სიტყვის შესახებ.

ბორდო 30 ნოემბერი (რადიო). ვაშინგტონიდან მოსულ ცნობით შეერთებულ შტატებში მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ლორდ კერზონის სიტყვას. „ეხო დე პარი"-ს ცნობით ბალფური არ ფარავს თვის გულისწყრომას ამ სიტყვის შესახებ. ვიდრე ვივიანს ინახულებდა მას ჰქონდა თათბირი ვაშინგტონში მყოფ ინგლისელთა წარმომადგენლებთან. ამერიკული პრესის აზრით ისეთი სიტყვა რომელიც წარმოსთქვა ლორდ კერზონმა ვაშინგტონის კონფერენციაზე ჰქმნის ნერვიულ ატმოსფერას. გარდა ამისა უკვე რამდენიმე დღეა რაც კონფერენციის წევრები მოუთმენლობას იჩენენ იმის გამო, რომ უკვე დადგა მომენტი, როდესაც დიდ სახელმწიფოთა დელეგაციებმა შეიმუშავეს კონფერენციაზე განხილულ საკითხების პრინციპები და ელიან თვის მთავრობებისაგან ახალ დირექტივებს.

ინგლისი.

ბაღდადის რკინის გზა.

ბორდო. 30 ნოემბერი, (რადიო), იმ საკითხთა შორის რომელნიც უნდა გაირჩეს გერმანიისა და ბრიტანეთის მრეწველთა კონფერენციაზე ლონდონში დასმულია აგრეთვე საკითხი გერმანიის მიერ მთელი მასალის წარმოდგენის რკინის გზის გაყვანის და აღდგენის შესახებ. რატენაუს და სიმონსის გეგმაში აღნიშნულია აგრეთვე ბაღდადის რკინის გზაც და მესოპოტამიის რკინის გზის ის ქსელი, რომელიც ინგლისელების ხელშია.

ულსტერნი და ირლანდია.

ნაუენი. 1 დეკემბერი, (რადიო). ულსტერნის პარლამენტმა კატეგორიული პროტესტი განაცხადა პანირლანდიის იდეის წინააღმდეგ და ირლანდიასთან შეერთების წინადადება უარჰყო.

იტალია

მოსკოვი. 2 დეკემბერი (რადიო). ტრიესტში ფაშისტების მიერ სტამბის მუშათა კავშირის მდივნის მკვლელობის გამო, იტალიის სტამბების მუშებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა. გუშინ იტალიაში არ გამოსულა არც ერთი გაზეთი. გაფიცვა გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე ყაჩაღთა და თეთრგვარდიელთა ბანდების ძალადობის წინააღმდეგ არ იქნება მიცემული გარანტია.

— მოსალოდნელია ბონომის კაბინეტის გადადგომა, რომელსაც კავშირი აქვს იმ შეკითხვის განხილვასთან თუ რათ დაუშვეს რომში შემოჭრა ათას შეიარაღებულ ყაჩაღებისა, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ დარბევის მოხდენა.

შეიარაღება თუ განიარაღება?

ნაუენი. 1 დეკემბერი. (რადიო). თუ საფრანგეთმა დაიწყო ხმელთა შუა ზღვის ფლოტის გაძლიერება იტალია იძულებული იქნება მის მაგალითს წაჰბაძოს და შეუფარდოს თავისი ფლოტის რაოდენობა სხვა სახელმწიფოთა ფლოტს.

გაფიცვები იტალიაში.

რომი. 30 ნოემბერი. (რადიო), საერთო გაფიცვა ტრესტში დამთავრდა, ვინაიდან შეთანხმება მოხდა. მდგომარეობა ნორმალურ პირობებში რჩება.

საბჭოს არჩევნების გარშემო

არჩევნების წინა კრებები.

თბილისის წარმოებებში ხდება არჩევნების წინა კრებები, რომლებიც იწვევენ დიდ ინტერესს მუშათა მასებში. კრებები განირჩევა მრავალ რიცხოვანობით და ტარდება დიდი სიფხიზლით და აღფრთოვანებით. კრებებზე ირჩევა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. პოლიგრაფიულ წარმოებებში და მელითონეებში არჩევნების წინა კრებები უკვე გატარებულია; სხვა კავშირებში ისინი გრძელდება.

საარჩევნო კომისიები.

წარმოებების დიდ უმრავლესობაში საარჩევნო კომისიები უკვე შესდგა და ხელმძღვანელობენ არჩევნების წინა კრებებს.

კანდიდატების სიები.

ცენტრალურ კომისიას ადგილებიდან უკვე მოსდის საარჩევნო სიები.

ბეჭდითი საქმის მუშების კრება.

კვირას, დილის 10 საათზე მუშათა სასახლის დიდ ზალაში შესდგება ბეჭდითი საქმის მუშების საარჩევნო კრება. ბეჭდითი საქმის მუშაკთა კომფრაქციამ არჩევნებისათვის გამოაქვეყნა სპეციალური მოწოდება, რომელშიდაც ააშკარავებენ მენშევიკების მოღვაწეობას.

მემარცხენე სოც. ფედერალისტები.

მემარცხენე სოც. ფედერალისტთა კომიტეტის წერილობითი თხოვნის საპასუხოთ მათი წარმომადგენლის დაშვების შესახებ თბილისის საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, საქართველოს რევკომმა დაადგინა: შეიყვანოს დასახელებულ კომისიაში მემარცხენე სოც. ფედერალისტების წარმომადგენელი ამხ. თ. ღლონტი.

ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **გამოკვლევა.** მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა შექმნა შერეული კომისია ყველა ხელშეკრულებათა განსახილავათ, რომელიც დადებულია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ წარმოებათა იჯარით გაცემის დანაკვეთის ჩაბარების და სხვა საქმეების შესახებ. კომისიაში შევიდნენ: მუშა-გლეხთა ინსპექციის ტეხნიკურ-სამრეწველო განყოფილების წარმოდგენილი ამხ. პესნე, იურისკონსულტი მუშა-გლეხთა ინსპექციისა ამხ. ჩხეიძე და საქარ. პროფკავშირთა საბჭოს ეკონომიურ განყოფილების გამგის მოადგილე—ამხ. ვოდოლსკი.

◆ **ელექტრონის სადგურების შეკეთება.** უმაღლეს ეკონომიური თათბირის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქმნა: შეუდგნენ დაუყონებლივ ელექტრონის საოგურების სასწრაფო შეკეთებას თბილისში და მიეცეს სამუშაო როგორც არტელებზე, ისე ხელოსნებზე ნარდათ.

◆ **საბავშო ბაღის გახსნა.** კვირას, 4 დეკემბერს, დღის 11 საათზე შესდგება საბავშვო ბაღის № 14 გახსნა, სერგიევის ქუჩაზე, სახლი № 12, სასურველია გახსნას დაესწრონ ბავშვების მშობლები და პროფკავშირების წარმომადგენლები.

◆ **ახალი ჟურნალი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ ყოველთვიური ჟურნალი „ხომალდი". ჟურნალში მონაწილეობენ: ს. აბაშელი, ხარიტონ ვარდოშვილი, იასამანი, ობოლი მუშა, ვარ. რუხაძე, ვ. ტუქსიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია და სხვანი.

◆ **ბათომის ნავთსადგურში.** 18 ნოემბერს მოვიდა ლოიდ-ტრიესტინოს საზოგადოების გემი „კარნიპოლია". წავიდა კონსტანტინოპოლში 3 გემი: „კონსტანტინოპოლი",—„ელიო" და „მარიამიდა ნინა" 16,600 ფუთ საქონლით და 260 მგზავრით. წავიდა 1 იალქნიანი გემი 565 ფუთ სხვა და სხვა საქონლით.

— 21 ნოემბერს წავიდა გემი „ტრივია" ინგლისის დროშით. მოვიდა აგრეთვე 2 იალქნიანი გემი 5,500 ფუთ მარილით.

— წავიდა 13 იალქნიანი გემი 520 ფუთ მარილით და 4650 ფუთ ნავთით.

— 22 ნოემბერს მოვიდა „ლოიდ-ტრიესტინეს" საზოგადოების გემი „კორნარო" და „ალი ხასანოვის სააგენტოსი" „სახარა"—720 ტონა საქონლით და 8 მგზავრით, მოვიდა აგრეთვე 10 იალქნიანი გემები 1,550 ფუთ საქონლით.

— წავიდა კონსტანტინოპოლში „ლედი-ელეონორა" 100,000 ფუთ ნავთით.

— 23 და 24 მოვიდა 5 გემი 25,500 ფუთ საქონლით, წავიდა გემი „კორნარო" კონსტანტინოპოლში 1300 ფუთ საქონლით და 120 მგზავრით.

300,000 ფ. მანქანის ზეთის გადატანა.

განსაკუთრებული ტემპი და სისწრაფე იქმნა გამოჩენილი ეხლა ხანს დამთავრებულ ოპერაციაში ბაქოდან ბათომში 300,000 ფ. მანქანის ზეთის გადასატანად. აზერბეიჯან-რუსეთის სანავთო საზოგადოებათა კავშირმა (არკოს) ლონდონში გაჰყიდა 4,500 ტონა მანქანის ზეთი.

დეკემბრის 10-დე ბათომში მისთვის უკვე უნდა მოსულიყო გემი „გლიუკსიიია". გემის ზეთით დატვირთვისვადა—192 საათი იყო. ბათომიდან მიღებული, იყო ცნობა, რომ იქ აუზებში არის მხოლოდ სულ 75,000 ფ. ზეთი. შეფერხებას ზეთის დროზე ჩაბარებისა მოჰყვებოდა კოლლოსალური ზარალი. აუცილებლათ საჭირო იყო სულ მოკლე ხანში ბაქოდან ბათომში დანარჩენ რაოდენობის გადატანა,

აზერბეიჯანის სანავთო კომიტეტმა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შეკითხვაზე—იძლევა თუ არა იმედს დანაკვეთის დაუყოვნებლივ შესრულებისას ზეთის გადატანაში, უპასუხა, რომ გადაიტანს თუ არ შეაფერხებს რკინის გზა და დაპირდა ზომების მიღებას, გადატანის 15 დეკემბრამდე დასრულებას. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების რკინის გზათა სამმართველოების სათათბიროზე გამოირკვა შესაძლებლობა 29 ცისტერნის ყოველდღიურად დატვირთვისა, ესე იგი 20,000 ფ. ამნაირად ზეთის გადატანა შეიძლება დამთავრებულიყო დეკემბრის 5-დის. გადატანა დაიწყო ნოემბერის 12-ს და 23 ნოემბრამდის უკვე გაიარა 16 მარშრუტმა—თითო 29 ცისტერნიანმა, რომლებიც მთლიანად შეადგენენ გადასატანად საჭირო 300,000 ფ.

თეატრი და ხელოვნება

რუსთაველის თეატრი.

დეკემბრის 8-ს დიდი ხნის მომზადების შემდეგ, პირველად ქართულ სცენაზე დადგმულ იქნება ახალი პიესა შ. შარაშიძისა: **„ავგაროზი"**. პიესა წარმოადგენს ზღაპრულ—ფეერიას, ანდერსენისებურს, მეტად სავსეს როგორც სანახაობითი მხრივ, აგრეთვე ხორეოგრაფიულ და მუსიკალური. ახალი დეკორაციები დახატულია ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ. პიესისათვის დამზადებულია სულ ახლად ბუტაფორია, ტანსაცმელები და ეფექტები. მუსიკა ამ პიესისათვის დაწერილია ა. გველესიანის მიერ. პიესას დადგამს რეჟისორი ალ: წუწუნავა.

ამხ. ლენინის სიტყვა

პოლიტგანათლების განყოფილებათა მეორე სრულიად რუსეთის ყრილობაზე (დასასრული)

ჩვენ ეხლა ისეთ პირობებში ამოვყავით თავი როდესაც კიდევ რამოდენიმედ უნდა დავიხიოთ უკანა არა თუ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისაკენ არამედ სახელმწიფოებრივ ვაჭრობისა და ფულის ტრიალისაკენაც. მხოლოდ ასეთი, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით, გრძელი გზით, შევძლებთ ჩვენ ეკონომიური ცხოვრების აღდგენას. აღდგენა სწორი ეკონომიური ურთიერთობის, აღდგენა წვრილი გლეხური მეურნეობის, აღდგენა და საკუთარ მხრებით ამაღლება მსხვილი მრეწველობისა. უამისოთ ჩვენ კრიზისს თავს ვერ დავახწევთ. სხვა გამოსავალი არ მოიძებნება; და ამავე დროს კი ამ ეკონომიური პოლიტიკის აუცილებლობის შეგნება ჩვენ შორის ვერ არი გარკვევით გამოსახული. მაგალითად, როდესაც ამბობ: ჩვენ წინ დგას ამოცანა, რომ სახელმწიფო შეიქნეს ბითუმი ვაჭარი ან და შეისწავლოს ასეთ ვაჭრობის წარმოება, ამოცანა კომერციული და ვაჭრული,—ეს ეჩვენებათ წარმოუდგენელ უცნაურობათ და ზოგიერთებს კი წარმოუდგენელ საშიშროებათ: „თუ, ასე ვთქვათ, კომუნისტები იქამდი მივიდენ, რომ ამჟამად მორიგ ამოცანებათ წამოყენებულია სავაჭრო, ჩვეულებრივი, მეტად უბრალო, ვულგალური, საცოდავი სავაჭრო ამოცანები, მაშინ რაღა დარჩება აქ კომუნიზმისაგან? ამისათვის მეტი რა დაგვრჩენია თუ არა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა და აღიარება: ახ, ყველაფერი დაღუპულია!" ასეთი განწყობილებას, მე ვფიქრობ, რომ მიმოიხედოთ გარშემო, დაინახავთ და მეტის მეტად საშიშია, იმიტომ რომ ამ შეხედულებამ მიიღო ფართო ხასიათი, რომელიც დააბრმავებს ბევრს და ხელს შეუშლის ჩვენ უშუალო ამოცანების საღად გაგებას. დაფარვა საკუთარი თავისაგან, მუშათა კლასისაგან, მასებისაგან იმისი, რომ ეკონომიურ სფეროში 1921 წლის გაზაფხულშიც და ეხლაც 1921—1922 წლების შემოდგომა—ზამთარში კიდევ განვაგრძობთ უკან დახევას, იქნებოდა საკუთარი თავის შეუგნებლობის აღიარება, ეს იმას დაადასტურებდა, რომ ჩვენ არ შეგვწევს გამბედაობა პირდაპირ შევხედოთ შექმნილ მდგომარეობას. ასეთ პირობებში მუშაობა და ბრძოლა იქნებოდა შეუძლებელი.

თუ არმია დარწმუნდა რა, რომ მას არ შეუძლია სიმაგრის შეტევით აღება, იტყვის, რომ ის არ თანხმდება ძველი პოზიციებიდან მოხსნას, არ დაიჭერს ახალს, არ გადავა ამოცანის გადასაჭრელათ ახალ საშუალებებზე,--ასეთ არმიაზე იტყოდენ: ის, ვინც შეისწავლა შეტევა და არ შეისწავლა ზოგიერთ მძიმე პირობების დროს მასთან შეგუებით უკან დახევა, ომს ვერ დაასრულებს გამარჯვებით. ისეთი ომები, რომლებიც იწყებოდენ და სრულდებოდენ შეუწყვეტელი გამარჯვებით, არ ყოფილა მსოფლიო ისტორიაში ან ასეთები იყო როგორც გამონაკლისი. ეს მაშინ, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვეულებრივ ომებზე. ისე ომის დროს კი, როდესაც წყდება მთელი კლასის ბედი, იჭრება საკითხი: სოციალიზმი ან კაპიტალიზმი,—არი საფუძვლიანი მოსაზრება იმის სასარგებლოთ, რომ ხალხს, რომელიც პირველათ ანხორციელებს ამ ამოცანას, შეუძლია გამოძებნოს ერთბაშად ერთად ერთი ნამდვილი და შეუმცდარი გზა? რა საბუთებია ამის დასამტკიცებლათ? არავითარი! ცდა გვაჩვენებს სულ წინააღმდეგს. იმ ამოცანებიდან, რომლების გადაწყვეტაც კი ჩვენ მოგვიხდა, არ იყო არც ერთი, რომელსაც არ დასჭირვებოდა ხელმეორეთ დაწყება ცხოვრებაში სწორად გასატარებლათ. დამარცხების შემდეგ ხელახლა დაწყება, ყველაფრის გადაკეთება, დარწმუნება, თუ რანაირათ შეიძლება მიუდგეთ საკითხს, სულ სხვაა, ვიდრე საბოლოოდ სწორად გადაჭრილი ამოცანა; ჩვენ ასე ვმუშაობდით და ასევე უნდა განვაგრძოთ მომავალშიც. თუ იმ პერსპექტივებთანაც, რომელიც იშლება ჩვენ წინაშე, არ აღმოჩნდა ჩვენს რიგებში ერთსულოვნება, ეს იქნებოდა მეტის მეტად სამწუხარო ნიშანი იმისი, რომ უდიდესმა საშიში სასოწარკვეთილების სულმა მოიკიდა ფეხი პარტიაში. და წინააღმდეგ, თუ ჩვენ არ შეგვეშინდება დაუმალავათ აღიარება მწარე და მძიმე სინამდვილესი, ჩვენ მივეჩვევით, ჩვენ უეჭველად შევისწავლით გამარჯვებას ყოველგვარ და ყოველ ნაირ დაბრკოლებებზე.

ჩვენ უნდა დავდგეთ არსებულ კაპიტალისტურ დამოკიდებულებათა ნიადაგზე. შეუშინდებით თუ არა ჩვენ ამ ამოცანას? ან შეიძლება ვთქვათ რომ ეს ამოცანა არ არი კომუნისტური? ეს იქნებოდა გაუგებრობა რევოლიუციონური ბრძოლის, მისი ხასიათის, ბრძოლის ინტესივობის და მისი კავშირის უაღრესად მოულოდნელ ცვლილებებთან, რომლებსაც ჩვენ არ შეგვიძლია არ გაუწიოთ ანგარიში.

მე გავაკეთებ ეხლა ზოგიერთ დასკვნებს.

მე შევეხები საკითხს, რომელიც ბევრს აინტერესებს. თუ ჩვენ ეხლა, 1921 წლის შემოდგომასა და ზამთთის პერიოდში კიდევ ერთხელ ვიხევთ უკან, როდის და გათავდება ეს უკან დახევა? ასეთი კითხვა პირდაპირ და ან რამოდენიმედ პირდაპირ ჩვენ ხშირათ გვესმის. მაგრამ ეს კითხვა მაგონებს მე ანალოგიურ კითხვას ბრესტის ზავის ხანაში. როდესაც ბრესტის ხელშეკრულებას ვდებდით ჩვენ გვეკითხებოდენ: „თუ თქვენ დაუთმეთ გერმანიის იმპერიალიზმს ესა და ეს, მაშინ როდის და ექნება ბოლო ამ დათმობებს და სად არი გარანტია, რომ ეს დათმობები გათავდება? და როდესაც ამას შვრებით აუარესებთ თუ არა თქვენ ყველა ამით მდგომარეობას?" რასაკვირველია ჩვენ ვზრდით მდგომარეობის საფრთხეს მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ყოველი ომის ძირითადი კანონები—ომის სტიქია საშიშროებაა—ომში არაა ისეთი მომენტი, როდესაც შენ არ იმყოფები საფრთხეში. და რა არი პროლეტარიატის დიქტატურა? ეს ომია და გაცილებით უფრო სასტიკი, უფრო ხანგრძლივი და შეუპოვარი, ვიდრე რომელიმე ომი ისტორიაში. აქ საფრთხე მოელის თითოეულ ჩვენ ნაბიჯს.

ის მდგომარეობა, რომელიც შექმნა ჩვენმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ—წვრილი სავაჭრო წარმოებების განვითარება, იჯარით გაცემა სახელმწიფო წარმოებების და სხვ., ყველაფერი ეს კაპიტალისტური დამოკიდებულებების განვითარებაა და ამის არ დანახვა—იქნებოდა გონების მთლიანად დაკარგვა. თავის თავად იგულისხმება, რომ კაპიტალისტურ დამოკიდებულებათა გაძლიერება იმავე დროს საშიშროების გაძლიერებაა. და შეგიძლიათ კი თქვენ მიმითითოდ რევოლიუციის თუნდაც რომელიმე ერთ გზაზე, მის რომელიმე ეტაპეზე და მეთოდებზე სადაც არ ყოფილა საფრთხე? საფრთხის მოსპობა იქნებოდა ომის გათავება და პროლეტარიატის დიქტატურის შეწყვეტა, მაგრამ ამაზე, არც ერთი ჩვენთაგანი ამ წამში არ ოცნებობს. ყოველი ნაბიჯი ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში ნიშნავს მთელ რიგ საშიშროებას. როდესაც ჩვენ გაზაფხულზე ვამბობდით, რომ ჩვენ ვცვლით სურსათის გაწერას გადასახადით, რომ ჩვენ სასურსათო გადასახადის შემდეგ დარჩენილ ზედმეტი პროდუქტების თავისუფალ ვაჭრობის დეკრეტს ვაქვეყნებთ, ჩვენ ამითვე ვაძლევდით თავისუფლებას კაპიტალიზმის განვითარებას. ამის არ ცოდნა ნიშნავს ძირითად ეკონომიურ დამოკიდებულებათა გაგების უნარის დაკარგვას; ეს იქნება წინ დაიდეულობის და სწორი მოქმედების დაღუპვა. რასაკვირველია, გამოიცვალა ბრძოლის მეთოდები,—და გამოიცვალა საშიშროების პირობებიც. როდესაც წყდებოდა საკითხი საბჭოთა ძალა უფლების და დამფუძნებელი კრების გარეკის შესახებ, საფრთხე გვემუქრებოდა პოლიტიკის მხრიდან. ეს საფრთხე უმნიშვნელო აღმოჩნდა. როდესაც კი დაიწყო სამოქალაქო ომის ეპოქა, მთელი მსოფლიოსი კაპიტალისტების დახმარებით, გაჩდა სამხედრო საფრთხე,—ის იყო უკვე უფრო საშიში. როდესაც ჩვენ შევცვალეთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა საფრთხე კიდევ უფრო დიდი შეიქნა, იმიტომ რომ, ის შედგებოდა მეტად ურიცხვ სამეურნეო, უბრალო წვრილმანებიდან, რომლებსაც საზოგადოთ ეჩვევიან და რომლებსაცვე ამჩნევენ; ეკონომიკა თხოულობს ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას და ძალღვების დაჭიმვას და მის დასაძლევათ განსაკუთრებული გარკვევით წინ აყენებს სწორი მეთოდების შესწავლის საჭიროებას. კაპიტალიზმის აღდგენა, ბურჟუაზიის განვითარება, ბურჟუაზიულ დამოკიდებულებათა განვითარება ვაჭრობის სფეროდან და სხვ., ეს არის ის საშიშროება, რომელიც ახასიათებს ეხლანდელ ჩვენს ეკონომიურ აღმშენებლობას, ჩვენ თანდათანობით მისვლას იმ ამოცანის გადასაჭრელათ, რომელიც უფრო ძნელია, ვიდრე წინანდელი, იოტის ოდენა გზის აბნევა აქ დაუშვებელია.

ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ეხლანდელი კონკრეტიული პირობები ითხოვენ ვაჭრობის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას, ფულის ტრიალის მოწყობას და სწორეთ ამ სფეროში უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი თავი. წინააღმდეგობები ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკაში მეტია, ვიდრე იყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკამდი: ნაწილობრივი, ეკონომიური მდგომარეობის რამოდენიმედ გაუმჯობესება მცხოვრებლების ზოგიერთი ნაწილის,—უმცირესობისა სრული წინააღმდეგობა ეკონომიურ რესურსებისა და საჭირო მოთხოვნილებებს შორის მცხოვრებლების სხვა ნაწილებისათვის—უმრავლესობისათვის. წინააღმდეგობანი შეიქნა უფრო მეტი. და გასაგებიცაა, სანამ ერთბაშად გარდატეხას აქვს ადგილი, ამ წინააღმდეგობების თავის დაღწევა ასე უცებ არ შეიძლება.

მე მინდა დასკვნის გაკეთების დროს ხაზი გაუსვა ჩემი მოხსენების სამ მთავარ თემას: ზოგადი კითხვა, რა აზრათ უნდა გავიგოთ ჩვენი პარტიის ეკონომიური პოლიტიკის შეცდომები იმ პერიოდში, რომელიც წინ უძღოდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას? მე შევეცადე, ერთი ომის ისტორიიდან აღებულ მაგალითით ამეხსნა აუცილებელი გადასვლა იერიშიდან საალყო მდგომარეობაზე, პირველ ხანებში იერიშის აუცილებლობა და მერე იერიშის დამარცხების შემდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების შეგნების საჭიროება.

შემდეგ ახალ გზაზე სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის განვითარების პირველი გაკვეთილი და პირველი ეტაპი, რომელიც უკვე გარკვეულად გამოჩნდა 1921 წლის გაზაფხულზე. ამ შემთხვევაში გვაქვს ზოგიერთი წარმატება, მაგრამ გვაქვს აგრეთვე არნახული წინააღმდეგობები. ჩვენ კიდევ ვერ დავძლიეთ ამ სფეროს.

და მესამე—იმ უკან დახევის შემდეგ, რომელიც ჩვენ უნდა მოგვეხდინა 1921 წლის გაზაფხულში სოციალისტურ აღმშენებლობიდან სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისაკენ, ჩვენ ვხედავთ, რომ წესრიგში დადგა ვაჭრობისა და ფულის ტრიალის მოწესრიგების საკითხი; როგორათაც შორს არ უნდა გვეჩვენოს ჩვენ ვაჭრობის დარგი კომუნიზმისაგან, ამ სფეროში ჩვენ წინ სდგას თავისებური ამოცანა. მხოლოდ ამ ამოცანის შესრულების შემდეგ ჩვენ შევძლებთ მიუახლოვდეთ აბსოლიუტურად გადაუდებელ ეკონომიური საჭიროების განხორციელებას, და მხოლოდ ამნაირად შეგვიძლია ჩვენ უზრუნველვყოთ მსხვილი მრეწველობის აღდგენის შესაძლებლობა იმ ხანგრძლივი, მაგრამ უფრო საიმედოთი გზით, რომელიც ერთად-ერთი შესაძლებელი გზაა ჩვენ პირობებში.

აი უმთავრესი, რაც უნდა გვქონდეს ჩვენ თვალწინ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხის გარჩევის დროს. ამ პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტის დროს ჩვენ უნდა ნათლად ვხედავდეთ განვითარების ძირითად ხაზებს იმისთვის, რომ გავერკვეთ იმ მოჩვენებითი ქაოსში, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ეხლა ეკონომიურ დამოკიდებულებებში, როდესაც ძველის ნგრევასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ახალის სუსტ ნიშნებს. ვხედავთ ხშირათ ჩვენი მოქმედების მეთოდებსაც, რომლებიც არ შეეფერება ახალ პირობებს. ვუყენებთ რა ჩვენ თავს წარმოების ძალთა გაძლიერების და მსხვილი მრეწველობის აღდგენის საკითხს, როგორც საფუძველს სოციალისტურ საზოგადოებისას, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ სწორათ მიუდგეთ ამ ამოცანას და გადავჭრათ ის რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

3 ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1921 წლის 25 დეკემბრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. მამია ორახელაშვილი.

2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერნთან—მომხ. ამხ. ნაზარეტიანი.

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხ. ამხ. ტოროშელიძე.

5) სადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი ფილიპე მახარაძე.

6) კოოპერაცია—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.

7) სასურსათო პოლიტიკა—მომხ. ამხ. ერქომაიშვილი.

8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. მდივანი.

9) ეროვნული საკითხი საქართველოში— მომხ. ამხ. ორჯონიკიძე.

10) პარტიულ ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხ. ამხ. დინენკო.

11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრსა და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი ორახელაშვილი.
საორგანიზაციო განყოფილების გამგე დინენკო.

რევკომების ყრილობა

ს. ს. სახ. კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენება

სამაზრო სასურსათო კომიტეტების მუშაობა დამზადების სფეროში შეუძლებელი აღმოჩნდა; ვინაიდან ისინი ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ადგილობრივ ინტერესებით და სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ცენტრის მიერ დასახულ მიზნებს, ანაწილებდნენ თავიანთ დამზადის ნაყოფს ადგილებზე, რესპუბლიკის საერთო სასურსათო მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად. ამისათვის დამზადების საქმის მოსაწესრიგებლად შექმნილ იქნა აგენტთა განსაკუთრებული აპარატი, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა ცენტრს, სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სახით მათი ორგანიზაციებითურთ, ხოლო სამაზრო სასურსათო კომიტეტებს შერჩათ მხოლოდ განაწილების და ადმინისტრატიული ფუნქციები. მთელ ამ დროს განმავლობაში კოოპერაცია ჩაბმულ იქნა აქტიურ სასურსათო მუშაობაში, როგორც დამზადებისა, ისე განაწილებისაში. ამის გამო და ხარჯების ეკონომიისათვის სამაზრო სასურსათო კომიტეტები და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულები თავიანთ ორგანიზაციებით ერთდებიან ერთ ორგანოდ.

სურსათისა და პირველ საჭიროების საგნების დამზადება სწარმოებდა სამი მიმართულებით: 1—დამზადება საქართველოს შიგნით—შესყიდვისა და გაცვლის გზით; 2—სასურსათო კომისარიატის დამზადებანი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში და 3—საბჭოთა რუსეთის დახმარება. სრული ცნობები საქართველოში გასული თვის დამზადებათა შესახებ ამ ჟამად არ არის, მაგრამ არსებულ ცნობათა მიხედვით მნიშვნელოვან სურსათის დამზადება საქართველოს შიგნით გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

ხორბალი—182,458 ფუთი; ძირიანი ნაყოფი და მწვანილი—77,561 ფუთი, რძის ნაწარმოები—24073 ფუთი, ხორცი—30,576 ფუთი, კვერცხი—123,783 ცალი. თივა—211,000 ფუთ. მატყლი—10,821 ფუთი, აბრეშუმის პარკი—9,000 ფუთი, დამზადება საქართველოს გარედ ამავე ხნის განმავლობაში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: პურეულობა—243,978 ფუთი, ბრინჯი—14,12 ფუთი, დამარილებული თევზი—30,820 ფუთი, ცოცხალი საქონელი—130 სული, შაქარი—14,152 ფუთი, მარილი—47,724 ფუთი, ერბო—182 ფუთი, საპონი—921 ფუთი, ასანთი—399,950 კოლოფი, მანუფაქტურა—390,009 არ. 2300,656 ფუთი პურეულობა, შაქარი, მარილი, მანუფაქტურა და სხვა მიღებულ იქნა რუსეთიდან, როგორც დახმარება. სურსათს ყველა მაზრებს და ქალაქებს აწვდიდა სასურსათო სახალხო კომისარიატი. მჭამელთა საერთო რიცხვიდან პროვინციაზე მოდის 49 პროც. 15 პროცენტი, რკინის გზაზე და 36 პროცენტ. თბილისზე. სახელმწიფოს მიერ მომარაგებულნი იყვნენ შემდეგი ჯგუფები: საბჭოთა მოსამსახურეები და მუშები—86.478, მათი ოჯახები—137,374, ტუსაღები 3.188 ავადმყოფები საავადმყოფოებში—6,354, დასახიჩრებულები 729, ბავშვები თავშესაფარში 2,656, სკოლის და სასადილოს ბავშვები 5,088, წითელ ლაშქრელთა ოჯახები 10,210 სულ მოქალაქეთა მოსახლეობა 254077 მჭამელი. ამათ გარდა საქართველოს წითელი ლაშქარი და საგანგებო კომისიის სამხედრო ნაწილები. მუშათა რიცხვში შედიან რკინის გზელები თავიანთ ოჯახებით, რომლებიც კმაყოფილდებიან ნახევრად, მეორე ნახევარს აკმაყოფილებს რ. ს. ფ. ს. რ. მიერ სასურსათო ფონდს შეგროვების უმთავრეს საფუძველს ამ ჟამად წარმოადგენს სასურსათო გადასახადი.

სასურსათო გადასახადის გადამხდელთა სიები ჯერ დამთავრებული არ არის, ასე რომ ნამდვილი ცნობები შემოსავლის შესახებ არ გვაქვს. წინასწარ გამოანგარიშებით სასურსათო გადასახადი მოგვცემს: პურს 600.000 ფუთს. კარტოფილს 85,000 ფუთ. ხორცს 70.000 ფუთ., ანუ 20,000 სულ საქონელს; ღვინოს—350,000 ვედროს; ერბოს 9,000 ფ.; ყველს 16,000 ფუთ; კომბოსტოს—35,000ფ. მატყლს—10,000 ფ. ვაშლსა და კაკალს. მოსალოდნელ გადასახადის ღირებულება აღწევს 90 მილიარდ მანეთს. გადასახადის აკრეფა უკვე დაიწყო თბილისისა და ახალქალაქის მაზრებში. გადასახადის შეტანის ვადა ჯერ არ გასულა, და ამის გამო ვითარდება და რაოდენობა გადასახადისა ჯერ გამოურკვეველია. მომავალ სეზონში დამზადების სფეროში განზრახულია ოთხი მიმართულება: 1. სასურსათო გადასახადი, რომელიც მოვიხსენიეთ ზევით, 2. დამზადება საქართველოში გარდა სასურსათო გადასახადისა, რომელმაც თვეში უნდა მოგვცეს 80,000 ფ. პური, ამაში 30 ათასი ფუთი ფულით და 50 ათასი ფუთი საქონელზე გადაცვლით, და 30 ათასი ფუთი კარტოფილი სეზონში.—3. დამზადება საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში, საიდანაც მოსალოდნელია სეზონში: პური 100 ათასი ფუთი უკრაინასა და ჩრდილო-კავკასიაში, მარილი 50 ათასი ფუთი ყირიმსა და ნახიჩევანში, ბრინჯი 25 ათასი ფუთი აზერბეიჯანში, საკლავი საქონელი ათასი სული ჩრდილო კავკასიაში, და თევზი 100 ათასი ფუთი სასურსათო კომისარიატის მიერ აზერბეიჯანში იჯარით აღებულ თევზის სამრეწველოებიდან.

4. საბჭოთა რუსეთის დახმარება, რომელსაც გამზადებული აქვს ყოველ თვიურად 50,000 ფუთი პური საქართველოს მოსახლეობისათვის და 25,000 ფუთი რკინის გზელებისათვის. სასურსათო კომისარიატი ამ ჟამად იმუშავებს წლიურ მომარაგების გეგმას ამ გეგმის შემოსავლის მხარეები დასურათებულია ზევით. იგი ისეთია, რომ რესურსები არ იკმარებს ყველას სრულ გამოსაკვებად. ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა და სამეურნეო ანგარიშებზე გადასვლის გამო, სახელმწიფო დასტოვებს თავის მომარაგებაზე მხოლოდ მის ეკონომიურ და ადმინისტრატიულ მუშაობისათვის აბსოლიუტურად საჭირო ჯგუფებს, უარს ჰყოფს რა ქველმოქმედების პრინციპს, ხოლო სხვა ჯგუფებმა თვითონ იზრუნონ თავიანთ მომარაგებისათვის. ამის გამო ეხლა სწარმოებს მჭამელთა ჯგუფების შემცირება. წლიურ მომარაგების საგანგებო კომისიის მიერ ჩაწერილი მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 87,126 კაცს. კომისია ახდენს მაქსიმალურ შემცირებას, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა.

ფინანსთა სახ. კომის. ამხ. სვანიძის მოხსენება

ამხ. სვანიძე ჩერდება საბჭოთა რესპუბლიკათა მიერ ფულის მეურნეობის შეცვლის გეგმის განხორციელებაზე სახელმწიფო წარმოებით და განაწილებით და ამტკიცებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივ მეურნეობის შექმნა წარმოების და განაწილების მოწყობილ აპარატით ობიექტიურ მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

ამიტომ ჩვენ ახალ ამოცანის წინაშე ვდგევართ—ფულის მეურნეობის აღდგენა და მისი გამოყენება კომუნისტურ სახელმწიფოს მიზნებისთვის. პირველ რიგში აუცილებელი საჭიროა ემისსიონური სისტემის მოსპობა და მისი შეცვლა გადასახადებით. ამ ჟამად, ემისიონურ მეურნეობის განხორციელების დროს, ჩვენ ვხარჯავთ წელიწადში 300 მილიარდზე მეტ მანეთს და ამ ჯამს არავითარი გადასახდელი სისტემა ვერ მოგვცემს. გაწერილ სისტემის მაქსიმუმს შეუძლიან მოგვცეს წელიწადში 100 მილიარდზე არა მეტი და ამ მინიმუმამდე რაც უნდა იყოს, უნდა შევამციროთ ჩვენი ხარჯები.

ხარჯები შეიძლება შემცირდეს მოსამსახურეთა საერთო რიცხვის შემცირებით და კრედიტის მიზან შეწონილ გამოთხოვით და გამოყენებით საბჭოთა მოსამსახურეთა რიცხვი შეიძლება შემოკლდეს კომისარიატების რიცხვის შემცირებით ხუთჯერ და მექანიურად შემცირდეს მოსამსახურეთა რიცხვი ყოველ განყოფილებაში. მიზანშეწონილად შეიძლება კრედიტი გამოთხოვილ და გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც უწყებანი დახარჯავენ თანხებს განსაზღვრულ ბიუჯეტის საფუძველზე.

საერთო სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი უნდა დაიფაროს სახელმწიფოს შემოსავლით.

ფინანსთა სახალხო კომისარი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა შთააგონონ ყველა უწყებათ, დაწესებულებათ და წარმოებათ შემდეგი: 1) მათდამი ქვემდებარე დაწესებულებანი დააყენონ კომერციულ საფუძველზე, ე. ი. მოამარაგონ არა უფასოთ, არამედ ფულით და აუცილებლივ ნაღდ ანგარიშით, 2) სასტიკად დაიცვან კასის მთლიანობა ე. ი. ყოველი შემოსული გროში ხაზინაში შეტანილ იქმნეს. 3) მოკლე ვადაში წარმოადგინონ მთელი წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა და თუ ესე არ მოხერხდება, მაშინ რამდენიმე თვის მაინც. 4) საქართველოს რევკომის მიერ კრედიტები შეიძლება გაღებულ იქმნეს მხოლოდ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საბიუჯეტო— ხარჯთ-აღმრიცხველ კომისიის სანქციის შემდეგ. 5 კრედიტების გამოთხოვის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული სახელმწიფოს ნამდვილი რესურსები.

ამ ზომების გატარება მოითხოვს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ დროს. ამ ჟამად კი—ფინანსთა სახალხო კომისარი წინადადებას იძლევა,—დაწესდეს ფულის რესურსების პროცენტული განაწილება ყველა კომისარიატს შორის და რამდენიმე ზედმეტად ფული დასტოვოს საქ. რევკომის განკარგულებაში გაუთვალისწინებელ საჭიროებისთვის და მიენიჭოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება შეუწყვიტოს ყოველ დღიური გაცემა ფულისა უწყებებს, რომელნიც კასის მთლიანობას არღვევენ, არას გზით არ იქნეს გადიდებული ემისია, ხოლო შემცირდეს იგი სახელმწიფო შემოსავლის გადიდების კვალობაზე.

განათლების სახალ. კომისარის ამხ. კანდელაკის მოხსენება

სკოლის საქმე კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

მთელი რიგი მაზრებისა, სადაც სკოლების დანგრევა მოსალოდნელია, არის ადგილები, სადაც სკოლები შეუკეთებლობის გამო არ მოქმედობენ. შორაპნის სახალხო განათლების განყოფილება თხოულობს სკოლების შესაკეთებლად 900 მილიონს. განათლების სახალხო კომისარი კი მთლად იღებს დღეშ. 60 მილიონს. მასწავლებელთა პერსონალის დასაკმაყოფილებლად საჭიროა 3 მილიარდზე მეტი მანეთი თვეში. უნდა ვიფიქროთ სკოლების შესაკეთებელი ხარჯები მცხოვრებლებზე გადატანაზე. სამაზრო რევკომებმა აგიტაცია უნდა გასწიონ, რომ მცხოვრებლებმა აიღონ თავის თავზე სკოლების შესაკეთებელი ხარჯები და მათი გათბობა. კახეთსა და ოზურგეთში მცხოვრებლებმა უკვე იკისრეს სკოლების შეკეთება.

საქართველოს რევკომში განხილულ იქმნა საკითხი მცხოვრებთადმი გადასახადის გაწერის შესახებ მასწავლებელთა უზრუნველყოფის მიზნით.

სახალხო განათლების ორგანოებთან არსებობს ფრიად მნიშვნელოვანი ორგანო პოლიტიკურ განმანათლებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ორგანო ადგილობრივ ხელისუფალთაგან არავითარ დახმარებას არა ღებულობს. საერთოდ ადგილობრივ სავსებით ვერ არის შეგნებული სახალხო განათლების მნიშვნელობა.

პირველდაწყებითი სკოლის მიმართ (პირველი საფეხურისა), შრომის მთლიანი სკოლის პრინციპი ტარდება თანდათანობით რუსეთის გამოცდილების მიხედვით. მენშევიკების დროს ითვლებოდა სამიათასამდე დაწყებითი სკოლა. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ეს რიცხვი აყვანილია 3200-მდე.

საშუალო სკოლა აშენებულია ცოდნის პროფესიონალიზაციის პრინციპზე (ტეხნიკუმები) ინდუსტრიალურ-ტეხნიკურისა, სასოფლო სამეურნეო (80 პროცენტი ტეხნიკუმისა) და პედაგოგიურის ხასიათისა შრომის მთლიან სკოლისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად, გამომუშავებულია საშუალო სკოლის სამოსწავლო გეგმა რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს რა წინანდელთან. უმაღლესი სკოლის შესახებ მიღებულია ყოველნაირი ღონის ძიებანი, რომ უმაღლესმა სკოლამ მოგვცეს, რაც შეიძლება, მეტი სპეცები, რომლებიც ჩვენთვის საჭიროა.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლებას, და თბილისში გახსნილია 30-მდე პროფ. ტეხნიკური კურსები, ხოლო პროვინციაში, ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო კურსების გახსნა შეუძლებელი შეიქმნა. მაგრამ საშუალებათა ნაკლებობის გამო დადგენილია მობილიზაცია გატარდეს საქართველოს რევკომების მიერ თვითოეულ ცალკე შემთხვევაში.

მუშათა კოოპერატივების წარმომადგ. ყრილობა

მოხსენებები ადგილებიდან

გორი.

გორის მუშათა კოოპერატივის მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. კუზმინჩენკო.

ამხანაგებო, თბილისის, ბათომის და ქუთაისის მუშათა კოოპერატივების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს მილიარდებზე, მილიონებზე,—მე რაღაზე დავიწყო ლაპარაკი!..

ხმა. ბაზარზე.

მე არ მსურს ვისმეს ვაწყენინო, ან ვინმე ვამხილო,—მაგრამ უნდა გიამბოთ მუშათა კოოპერატივის გახსნის შესახებ გორში.

მოვიდა ჩვენთან მომარაგების სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორი, და ივლისის 6, საღამოს 7 საათზე შესდგა მუშათა კოოპერატივის პირველი საორგანიზაციო კრება. ინსტრუქტორმა გამოგვიცხადა, რომ აუცილებლივ უნდა არჩეულ იქმნას გამგეობაში 7 წევრი და საკმარისია გაიგზავნოს ვინმე თბილისში, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ მივიღებთ საქონელს. პირადად მე თვითონ დავდიოდი წარმოებებში და ვწერდი მუშა-მოსამსახურეებს მუშათა კოოპერატივში. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩაეწერა 800 კაცამდე. გავგზავნეთ თბილისში სიები, ველით საქონელს, და ჩვენ გვიპასუხეს—„შემოიტანეთ განცხადება"-ო. მუშებმა კი დაიწყეს აღელვება და გვეკითხებოდნენ—როდისღა დაიწყებს „თქვენი" კოოპერატივი საქონლის გაცემასო?..

დიდის წვალებით მოვახერხეთ შენობის გამოძებნა, თუმცა კომუნალური მეურნეობა გამოგვეხმაურა. ასე გაგრძელდა აგვისტოს 25-დე და ამ დროს მომარაგების სახალხო კომისარიატისაგან მოვიდა დეპეშა რწმუნებულის სახელზე, რათა მას ჩაებარებინა მუშათა კოოპერატივისათვის საქონელი საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის.

ეს დეპეშა უმოძრაოთ ეგდო 7 დღე და მხოლოთ შემთხვევით ვიპოვეთ იგი პარტიულ კომიტეტში. ჩვენ მოგვცეს საქონელი 70 მილიონ მანეთისა, მაგრამ ისეთ ფასებში, რომელთა გადახდა არ შეეძლო მუშკოოპს, მაგალითად, ჩითი 25,000 მანეთათ არშინი. ეს იყო 12 აგვისტოს. ამის შემდეგ მიღებული იყო ახალი დეპეშა: საქონელი აღარ გასცეთ გადასაცვლელადაო... დასასრულ, 25 აგვისტოს გავხსენით ჩვენი დუქანი. ჩვენ ვისესხეთ კომუნალურ განყოფილებისგან 1,200 ათასი მანეთი, რევკომისგან—300,000 მან. და ამით დავიწყეთ ჩვენი ოპერაცია. წარსულ დროს ჩვენი ფულის ტრიალი გამოიხატა შემდეგი ციფრებით: 1 ოქტომბერს შემოსავალი იყო—71 მილიონი მანეთი, გასავალი—68 მილ. მან. ოქტომბერში—შემოსავალი—112 მილიონი მან., გასავალი—100 მილიონი; ნოემბერში ჩემი წამოსვლის დღემდე, შემოსავალი გაიზარდა უკვე 2,000 მილიონ მანეთამდე. ამ ჯამში შედის 104 მილიონი მან., მიღებული სასურსათო სახ. კომისარიატის რწმუნებულისგან. უკანასკნელისთვის ჩვენ ნაწილათ ვიყიდეთ, ნაწილათ გადავცვალეთ ხორბალი 125 მილ. მანეთისა, რომელთაგან 116 მილიონი მანეთისა უკვე ჩავაბარეთ რწმუნებულს და საორგანიზაციო ხარჯებში 5 პროც. მივიღეთ.

14 ნოემბრამდე ჩვენ ვაძლევდით სანოვაგეს საბჭოთა სასადილოებს, სულ მივეცით 55 მილიონისა, ხოლო მივიღეთ მათ სამაგიეროთ 39 მილიონი. ამნაირათ 16 მილიონი ზედმეტად დავხარჯეთ.

საქონელი გასაყიდათ მივიღეთ კერძო პირებისგანაც, 10 პროც. საკომისიოს აღებით—სულ 10 მილიონ მანეთისა. ამას გარდა, ვყიდდით ნაყიდ საქონელსაც.

წმინდა მოგება მთელი ხნის განმავლობაში გამოიხატა—12 მილიონი მანეთი, აქ არა ვთვლით იმ 10 მილიონს, რომელიც სასურსათო კომისარიატისგან მივიღეთ.

ეს 10 მილიონი ჩვენ მივიღეთ დაპირებულ ფონდის (100 მილიონის ნაცვლათ) ანგარიშში. ჩვენ საქონელიც მივიღეთ 52 მილიონ მან. მაგრამ ეგაა ეს საქონელი არ შეეფერება ჩვენი წევრების მოთხოვნილებას.

ასე, ჩვენ მივიღეთ 5 ფუთი ხმელი მდოგვი; მთელი გორისთვის ეს მეტათ ბევრია. ციკორიც 5 ფუთი მივიღეთ. ხელის საპონი კი სულ 100 ნაჭერი მოგვცეს. სახარინი მოგვცეს კილო 800,000 მანეთად, ესე იგი თითო ცალი დაგვიჯდა—64 მანეთი, ეს შეუძლებელი საქმეა. თამბაქო მოგვცეს 4 ფუთი თითო 400,000 მანეთად,—ეს ჩინებულია.

მაგრამ საქონლის შეფასება უცნაური იყო: ასე, მატყლის წინდები—3,000 მან., ხოლო უბრალო ცხვირსახოცი—2,500. მივიღეთ 100 არშინი არშია და მოვიხმარეთ იგი ჩვენი სახელოსნოსთვის.

ამ დროს განმავლობაში ჩვენ ბევრი საქონელი შემოგვაძლიეს, თანაც ძლიერ დაბალ ფასებში, მაგრამ მათი სყიდვა არ შეგვეძლო, ფული არა გვქონდა, ჩვენ გავყიდეთ კომუნალურ განყოფილების ჩუსტები 24 მილიონისა და შევისყიდეთ მისთვის ნედლი მასალა.

ჩვენვე დაკისრებული გვქონდა მოვალეობა უფასოთ დაგვერიგებინა ულუფა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მთელ მაზრაში, ასე რომ აქ მჯდომი ამხანაგებს ბორჯომიდან, სურამიდან და სხვა ადგილებიდან შეუძლიანთ დაამოწმონ, რომ ისინი ულუფას ჩვენგან იღებდნენ.

შემდეგში ჩვენ განზრახული გვაქვს სადურგლო და საჩოთქო, სამკერვალო და საქუდე სახელოსნოებისა, საპნის ქარხნის და საფეიქრო სახელოსნოს გახსნა. გვაქვს ბოსტანი 3 დესეტინა. კომუნალურ განყოფილებისგან ჩვენ მივიღეთ ერთი უღელი კამეჩი. პურის საცხობიდან ყოველ დღე უშვებდით 60 ფუთ პურს—2390 მანეთად, მჭადს—1100 მანეთად. სასადილოს დახურვის შემდეგ ვიანგარიშეთ, თუ რამდენს სურდა სადილი საკოოპერაციო სასადილოში. აქ სადილი ორი თავი საჭამადისგან დაჯდება—6,000 მანეთი.

თქვენ იცით, რომ გორის მაზრას უხვათ აქვს პროდუქტები და თუ ჩვენ შეძლება გვექნება, ფართეთ განვავითარებთ ჩვენს მუშაობას და ყველაფერს მივცემთ ჩვენს წევრებს.

ჩვენი შტატები შემდეგია: 5 წევრი მმართველობისა, 2 კანდიდატი, 3 წევრი სარევიზიო კომისიისა. მმართველობის ერთი წევრი —პასუხისმგებელი ნოქარია, მეორე—უბრალო ნოქარია, მაღაზიაში - 3 მოსამსახურეა, კანცელარიაში 4. ჯამაგირები ჯერ შემუშავებული არაა; ავანსათ მიცემული აქვთ 2 გირვ. პური და ფულათ, ოჯახის პატრონთ 100,000 მან. თვეში, უცოლშვილოებს —50,000 მან.

მოხსენების გათავების შემდეგ მომხსენებელს აძლევენ მრავალ კითხვას და მათ საპასუხოთ მომხსენებელი ამბობს:

გორის სარაიონო კოოპერატივთა კავშირთან დამოკიდებულება არაა გამორკვეული, მაგრამ კავშირი ჩვენს მუშაობას უფრო აბრკოლებს, და არავითარ დახმარებას როგორც საქონლის გაცემით, ისე სხვა საკითხებში არ გვაძლევს, ჩვენ კავშირში შესვლა გვინდოდა, მაგრამ კავშირმა უარი გვითხრა ჩვენ წარმომადგენელთა დაშვებაზე რწმუნებულთა ყრილობაზე, ვიდრე არ შევიტანთ საწევრო გადასახადს.

საქონლის მისაცემი წიგნაკები ჯერჯერობით არ დაგვირიგებია. წიგნაკები დამზადებულია, მაგრამ ფული არ არის მათ გადასახდელათ.

ბორჯომი.

ბორჯომის მუშათა კოოპერატივის მოქმედების შესახებ მომხსენებელია ამხ. გოგიტაშვილი.

ივლისის 19 თავისი არსებობა შესწყვიტა მარტის 10-დან ბორჯომში მომქმედმა სასურსათო კომიტეტმა და მუშათა და მოსამსახურეთა ჯგუფის თაოსნობით პროფკავშირის სახით გახსნილ იქმნა ბორჯომის მუშათა მთლიანი კოოპერატივი. მას გადაეცა სასურსათო კომიტეტიდან სახალხო კვების მთელი სამუშაო და ბორჯომის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა ზრუნვა, მათ შორის ცენტრიდან გადმოგზავნილ უფასო ულუფის გასანაწილებლად. მაგრამ მუშათა კოოპერატივის მიზანი შეიცავდა უმთავრესად კოოპერატიულ ხასიათის საქმიანობას დასაწყისში. უკანასკნელისთვის ფართო პერსპექტივები იხსნებოდა ფართო კრედიტი როგორც ფულით, ისე საქონლით და აგრეთვე ადგილობრივი სამრეწველო წარმოებები მომარაგებდნენ მას საქონლის გაცვლით თავისი ნაწარმოების საგნებით—მუშის ნაწარმოებით, მინერალური წყლით და ხე-ტყის საშენ მასალით. უნდა ითქვას, რომ საქმის ინიციატორები ამ ორ წყაროზე ამყარებდნენ თავის იმედებს ახლად აღმოცენებულ კოოპერატივის მოქმედების გასაფურჩქნად, ვინაიდან მესამე წყარო—საწევრო გადასახადი მთლად კიდეც რომ მოესურვათ 1600 მუშა-მოსამსახურეს ბორჯომის რაიონის მუშათა კოოპერატივის წევრად ყოფილიყვნენ, ეს შეადგენდა კაპიტალს სულ მთლად 7—8 მილ. მანეთს, რაც დღევანდელ ფულის მასშტაბით წარმოადგენს უმნიშვნელო თანხას.

მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულმა ორმა წყარომ სავსებით არ გაამართლა მორწმუნეთა მოლოდინი. დაწესებულებანი, რომლის გამგებლობაში იმყოფებიან ადგილობრივი წარმოებები, როგორღაც უნდობლად უყურებენ კოოპერატივს და აძლევენ მას შედარებით მცირე და მოკლე ვადიან სესხს. ამას წინად კოოპერატივს კიდეც აცნობეს, რომ მას სრულიად შეუწყვეტენ სესხს, თუ კოოპერატივს აქვს მისაღები ცენტრიდან რამდენიმე ათეული მილიონი. ამასთან ცენტრმაც სავსებით ვერ გაამართლა იმედები, ვინაიდან ძუნწად ამარაგებს კოოპერატივს საქონლით დასატრიალებელ ფონდის შესაქმნელად. ეს კიდევ ცოტაა. კოოპერატივს, რომელმაც თითქმის მთელი თავისი სახსარი დახარჯა საბჭოთა უფასო სასადილოებზე, თვეობით უხდებოდა ლოდინი ფულის დასაბრუნებლად და ამის გამო შემცირება მინიმუმამდე კოოპერატიულ ოპერაციებისა. რაც შეეხება საულუფე პურს, უნდა ღრმა მწუხარებით აღვნიშნოთ, რომ სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი მუშათა კოოპერატივის მომარაგება ხორბლით, რაც ადგილობ. არაწესიერად სრულდებოდა და როგორღაც არახალისიანად. მაგრამ სასადილოების დაკეტვის გამო და იმის იმედი, რომ ცენტრი მალე აუნაზღაურებს კოოპერატივს სასადილოების ხარჯებს, საქმის ვითარება თანდათან უმჯობესდება; ეს ემჩნევა უკანასკნელ დღეებში მუშათა კოოპერატივს კოოპერატიულ საქმიანობის გაძლიერებით.

ამ ხელშემშლელ პირობათა დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ ბორჯომის მუშათა კოოპერატივის მდგომარეობა უმჯობესდება და მისდამი ნდობა თანდათან მტკიცდება. ამ ჟამად ბორჯომის რაიონის ჩარჩოები მისთვის ვიწრო ხდება და სავაჭრო ურთიერთობას იწყებს თბილისთან, განჯასთან და ბათომთან. მისი მოქმედების სივრცე ფართოვდება და ეს იმას ნიშნავს, რომ შორს არაა ის დრო, როდესაც მისი წევრები საბოლოოდ გამოგლეჯილი იქნებიან სპეკულიანტების კლანჭებიდან.

რომ მოკლეთ დავახასიათოთ მუშათა კოოპერატივის მოქმედება და მისი ოპერაციების გაფართოება, საკმაოა აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტები:

სასურსათო კომიტეტთან მოქმედებდა მხოლოდ 2 სასადილო. ამ ჟამად მოქმედობს ოთხი კოოპერატიული დუქანი: თვით ბორჯომში, შავ მდინარეზე, სუმბათოვოში და ბაკურიანში (ბორჯომიდან 60 ვერსზე), ხოლო ნოემბრის 16-დან მხოლოდ 5 საბჭოთა სასადილომ თავის არსებობა შესწყვიტა.

ბორჯომის რაიონის 1700 (დაახლოვებით) მუშა-მოსამსახურიდან ამ ჟამად მუშათა კოოპერატივის სრულუფლებიან წევრად ითვლება 1093 კაცი, რომლებმაც 4,749,000 მანეთი საწევრო გადასახადი შეიტანეს. წევრთა ჩაწერა გრძელდება.

ვათავებ რა ამ მოკლე ინფორმაციას, მუშათა კოოპერატივის გამ-

გეობა მუშათა კოოპერატივის საკეთილდღეოდ და მისი მოქმედების გასაუმჯობესებლად გამოსთქვამს შემდეგ ოთხ სურვილს:

1. რათა ცენტრმა უფრო მჭიდრო და უშუალო დამოკიდებულება დაიჭიროს მასთან და მეტ გულდასმით გამოეხმაუროს მის შეკითხვებზე; 2. რათა მუშათა მთლიანი კოოპერატივები ყოველ ხსენებულ რაიონში გახსნილ იქმნეს მთელი რაიონის კოოპერატიულ და გამანაწილებელ მოქმედების ცენტრში და სხვა რომელიმე დაწესებულებას ან ორგანიზაციას უფლება არ მიეცეს ამ მიზნის ნაწილობრივად მაინც შესრულებისა; 3. რათა მუშათა კოოპერატივებს გაეხსნათ უფრო ფართე და მრავალფეროვანი კრედიტი საქონლით, ვიდრე აქამდე ხდებოდა და 4) რომ ტვირთების გადატანის და ტელეგრაფით დამოკიდებულების დროს მათ მიეცეთ შეღავათი შესაძლებელ მინიმუმამდე.

უპასუხებს რა მრავალ საკითხებზე, მომხსენებელი დასძენს: სასურსათო სახალხო კომისარიატმა მოგვცა 10 მილ. მანეთი ფულათ და 30 მილიონის საქონელი. უფასო კვებისთვის საბჭოთა სასადილოებში სასურსათო სახალხო კომისარიატს ევალება მისცეს მუშათა კოოპერატივს 64 მილ. მანეთი და მათ დასაფარავად ამ ჟამად იძლევა 10-15 მილ. მან. საქონლის გაცვლით დამზადებულია: ახალციხის რაიონში 400 ფ. კარტოფილი და 700 ფ. სიმინდი.

საპაიო გადასახადია 5000 მან., შესასვლელი 500 მან. მუშათა კოოპერატივში წევრად ვიღებთ განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეებს, ხან და ხან გლეხებს, რომელნიც, რასაკვირველია, დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ.

ნატურ პრემიალური ფონდი ჩვენთან ჯერ არ შემოსულა.

გომის სარაიონო კავშირის საშუალებით ცეკავშირში შევდიოდით და ხან და ხან ვიღებდით იქიდან საქონელს.

სასურსათო სახალხო კომისარიატმა ერთხელ მოგვცა 1000 ფ. მარილი—ვაგონი—და ჩვენ გადუხადეთ რკინის გზას 3 ნახევარი მილ. მანეთი. მეორეჯერ სასურსათო სახალხო კომისარიატმა გამოგვიგზავნა 200 ფ. მარილი, ხოლო რკინის გზამ ვაგონის საფასური მოგვთხოვა; ამიტომ მარილი აქამდე გამოუსყიდველია.

ახალ-სენაკი.

ახალი სენაკის მუშათა კოოპერატივის მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. გრიგოლია.

სექტემბრის დამდეგში ახალ-სენაკის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებაზე, სამაზრო პროფ. ბიუროს თაოსნობით მუშათა კოოპერატივის გამგეობა იქმნა არჩეული 3 წევრის და 2 კანდიდატის შემადგენლობით და აგრეთვე სარევიზიო კომისია ისეთივე შემადგენლობით. გამგეობის წევრებმა გაინაწილეს ერთმანეთს შორის მომავალი მუშაობა მუშათა კოოპერატივის ორგანიზაციისთვის. ერთი მათგანი თვით დადიოდა სახელოსნოებსა, ქარხნებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა ჩასაწერად მუშათა კოოპერატივის წევრად. წარმოებულმა რეგისტრაციამ დაგვანახვა, რომ მუშათა კოოპერატივში შესვლის მსურველთა რიცხვი 500-მდე აღწევს. სამაზრო სასურსათო კომიტეტმა თავისი სადგომი დაუთმო მუშათა კოოპერატივს დუქნად.

საქმე შეჩერებული იყო საქონლის უქონლობის გამო და ჩვენ მოუთმენლად ველოდით ტფილისში ამისთვის წასულ ამხანაგს.

თურმე ტფილისში ჩვენი წესდება რამდენიმე შესცვალეს და ახალი წესდების დასამტკიცებლად მოგვიხდა ერთხელ კიდევ კრების მოწვევა.

სასურსათო სახალხო კომისარიატიდან მიღებული საქონელი 35 მილიონ მანეთისა არ იყო გასავლიანი ნიჩბები, წერაქვი, რკინის ბერკეტები, ორთითი და სხვა ამგვარი, ხოლო გასავლიანი საქონელი უმნიშვნელო რაოდენობისა აღმოჩნდა. ნოემბრის 1 მუშათა კოოპერატივი გაიხსნა. ჩვენ შეუდექით განაწილებას სამაზრო მასშტაბით უფასო ულუფისას მუშა მოსამსახურეთა შორის.

15 ნოემბერს მუშათა კოოპერატივის წევრთა რიცხვი, რომელმაც შეიტანა სრულიათ საწევრო გადასახადი იყო 241, პაი და შესასვლელი გადასახადის ჯამი უდრიდა—2640 ათას მანეთს. თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურეებს, 2000 კაცზე მეტს, სურთ იყვნენ მუშათა კოოპერატივთა წევრებათ, მაგრამ ჯამაგირის მიუღებლობა არ აძლევსთ საშუალებას შეიტანონ პაი. (10,000 მან. და 1000 მან.) გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ აღძრეს სამაზრო რევკომის საშუალებით შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე 100 მილიონ მანეთის სესხის შესახებ უპროცენტოთ, მაგრამ სასურსათო კომისარიატმა 100 მილიონის მაგიერ მისცა მხოლოთ 10 მილიონი.

ამ ჟამათ მუშათა კოოპერატივის კანკარგულებაში არის 12.640 ათასი მანეთი და ის ცოტა გასავლიანი საქონელი, რომელიც ჩვენ მივიღეთ სასურსათო კომისარიატიდან. ამ სახსრით საქმის ძლიერ გაფართოება არ შეიძლება. სხვათა შორის სასურსათო კომისარიატის რწმუნებული ძველებურათ ყველა საქონელს აძლევს გასაცვლელათ საშოქალაქო კოოპერატივების რაიონის კავშირს, ამნაირათ, მუშათა კოოპერატივს არ შეუძლია დაუკავშირდეს გლეხთა მასების კოოპერატივს და ამიტომ არ შეუძლია გააფართოვოს თავისი მოქმედება.

ჩვენი მუშათა კოოპერატივის გამგეობა საჭიროთ სთვლის აღადგინოს მჭიდრო კავშირი რესპუბლიკის მუშათა ყველა კოოპერატივებთან შეთანხმებულ ნაყოფიერ მუშაობისთვის.

ამაზე 26 ნოემბერს საღამოს სხდომა შესწყდა მეორე დღის 10 საათამდის.

წარმოებითი პროფკავშირებში

პროფკავშირის საბჭოს პრეზიდიუმში მოსმენილ იქმნა მოხსენება ამხ. ერისთავისა მუშათა კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ. ირკვევა, რომ მუშათა კოოპერატივის მუშაობა შეფერხებულია ფულის ნიშნების უქონლობის გამო. მოისმინა რა მოხსენება ამხ. ერისთავისა, პრეზიდიუმმა დაადგინა:

1) ეთხოვოს ეკონომიურ საბჭოს მოახდინოს რეალიზაცია თავის დადგენილებისა მთლიან მუშათა კოოპერატივისთვის ფულის მიცემის შესახებ.

2) წარმოებისათვის არა საჭირო საქონელი გადაეცეს მუშათა მთლიან კოოპერატივს.

3. მიეცეს წინადადება მის სასურსათო კომისარიატს, მუშათა კოოპერატივს და საქართველოს პროფკავშირის საბჭოს ეკონომიურ განყოფილებას გამოარკვიონ მუშათა მთლიან კოოპერატივის პირობები და რაოდენობა დამზადებისა.

4 მთლიანი კოოპერატივის გამოსვლა საგარეო ბაზარზე სასურველათ ჩაითვალოს, და გატარებულ იქმნეს ცხოვრებაში რუსეთის დებულებანი საგარეო ვაჭრობის და საგარეო ვაჭრობის კომისარიატთან ურთიერთობის შესახებ.

5, მიენდოს სახალხო შრომის განყოფილებას შეუთანხმდეს მუშათა მთლიან კოოპერატივს პროდუქტების განაწილების წესის შესახებ.

6) მოსკოვის არტელის საწყობები გადაეცეს მუშათა მთლიან კოოპერატივს და მიენდოს ეკონომიურ განყოფილებას მონახოს საწყობი მუშათა კოოპერატივისთვის.

7) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან გამოირკვეს საკითხი წისქვილის შესახებ, რადგანაც სასურსათო კომისარიატს არ აქვს უფლება იჯარით გასცეს წისქვილები.

8) ყოფილ ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ქონება გადაეცეს მუშათა კოოპერატივს და მოხდეს სახელმწიფო მოსამსახურეთა კოოპერატივის გამგეობის ლიკვიდაცია, ამხ. მოვშოვიჩი მივლინებულ იქნეს მუშათა კოოპერატივში სამუშაოთ და განთავისუფლდეს ის საკავშირო მუშაობიდან.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა მედიკო-სანიტარულ მუშაკთა შორის.

საქართველოს მედიკო-სანიტარულ შრომის კულტურულ განყოფილების კავშირმა, მედიკო-სანიტარულ მუშაკთა უმცროს თანამშრომლებს შორის უცოდინართა სასწრაფო ლიკვიდაციის მიზნით და მათი კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, გადასწყვიტა მოაწყოს მედიკო-სანიტარულ დაწესებულებაში კულტურული იაჩეიკები, რომლებსაც ევალებათ:

1) არსებულ დაწესებულების თანამშრომელთა შორის ჩვეულებრივი უცოდინარობის აუცილებელი ძალდატანებითი ლიკვიდაცია.

2) მათ შორის ცოტა მცოდნეთა ლიკვიდაცია.

3) ბავშვების რეგისტრაცია წლოვანების მიხედვით და ზომების მიღება საერთო სასკოლო სწავლისათვის.

4) მოწყობა საუბრის, ლექციების და კონცერტების თემებით და პროგრამებით საერთო კულტურულ და მხატვრულ-ესტეტიურ აღზრდის.

5) ერთის მხრივ და სანიტარულ-ტეხნიკურ განათლების შესახებ მეორე მხრივ, მედიკო-სანიტარულ დაწესებულებათა თანამშრომლების მონაწილეობის მოწყობა დრამატიულ, ლიტერატურულ, მუსიკალურ სტუდიებსა, განათლების კურსებსა, ექსკურსიებსა და სხვა ამგვარში.

6) აგიტაცია მუშათა კლუბში წევრათ ჩაწერის მიზან-შეწონილობის და კლუბების წარმოებაში აქტიური მონაწილეობის მიღების საკითხების შესახებ. ამას გარდა იაჩეიკებს ევალებათ შეუდგენ მედიკო-სანიტარულ დაწესებულების საჭიროების გამორკვევას, სადაც წარმოებულ იქნება მათი მუშაობა, აგრეთვე კოლექტივების სურვილების გამორკვევას მედიკო-სანიტარულ განათლების სეჯროში, მათვე ევალებათ წარმოებითი აგიტაციის ფართე მომზადების მოწყობა და პოლიტიკური პროპაგანდა კავშირის კულტურულ განყოფილების საშუალებით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 91.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლის ნოემბრის 22-ს დადგენილების თანახმად, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: განათლების სახალხო კომისარი—ამხ **კანდელაკი**, სახალხო განათლების კომისრის მოადგილე—ამხ. მარიამ **ორახელაშვილი**, კოლეგიის წევრები—ამხ. **თაქთაქიშვილი** და **ბრიხნიჩევი**.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი**.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სხარიძე**.

1921 წ. ნოემბრის 28.
თბილისი-სასახლე.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს შესახებ.

იმ მიზნით, რომ შრომის დისციპლინა ცხოვრებაში იქნეს გატარებული შრომის ნაყოფიერობის უმაღლეს საფასურამდე აყვანისათვის—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს.

1. დისციპლინალურ საქმეთა განსახილველად დაარსდეს:

ა) სამხანაგო დისციპლინალური სასამართლოები და ბ) უმაღლესს სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები.

სამხანაგო დისციპლინარული სასამართლო მოქმედებს პირველი ინსტანციის სახით და იმყოფება ქალაქებსა და მაზრებში პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან; უმაღლესი დისციპლინალური სასამართლო მოქმედებს მეორე ინსტანციის სახით და იმყოფება სამაზრო ბიუროსთან, ხოლო ქ. ტფილისში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან.

2. სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს თავმჯდომარეები და მისი მოადგილენი ამორჩეულ უნდა იქნენ პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროს სხდომაზე, სასამართლოს წევრები და მათი კანდიდატები კი—ერთი წევრი-ჯგუფისა, ან ქარხნის ადგილობრივ მმართველობის ხელმძღვანელ ორგანოს მიერ, ხოლო მეორე—იმ წარმოების ან დაწესებულების წევრთა საზოგადო კრების მიერ, რომელთა საქმეებიც არის განსახილველი.

3. უმაღლესი სამხანაგო დისციპლინალური სასამართლოები შესდგება თავმჯდომარისა და მისი მოადგილისაგან, რომელთაც ამოირჩევს: ტფილისში—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროფესიონალური კავშირთა საბჭო, ხოლო რესპუბლიკის სხვა ადგილებში—სამაზრო ბიუროს საბჭო თავის წევრთა შორის,—და ორი წევრისაგან: ერთი მათგანი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ან მისი ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი, ხოლო მეორე—შრომის სახალხო კომისარიატისა ან მისი ადგილობრივი ორგანოსი.

უმაღლეს სასამართლოს სხდომაზე სათათბირო ხმით მონაწილეობენ: ტფილისში—სახალხო მოსამართლეთა საბჭოს, ხოლო მის დაარსებამდე—იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, რესპუბლიკის სხვა ადგილებში-კი ადგილობრივი სახალხო მოსამართლე.

4 თავმჯდომარე, სასამართლოს წევრები და მათი კანდიდატები ამოირჩევიან ექვსი თვის ვადით; ამასთანავე სამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოთა და ტფილისს გარეშე არსებულ უმაღლეს დისციპლინარული სასამართლოთა თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს თანამდებობაზე ამტკიცებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო. უკეთუ აღნიშნული პირნი თავის დანიშნულებას არ შეეფერებიან, მათ ამომრჩეველ ორგანოებს უფლება აქვთ უკანვე გაიწვიონ ისინი რწმუნებულების ვადის გასვლამდე.

5. როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო და კერძო წარმოებისა და დაწესებულებების ყოველი მუშა-მოსამსახურე,—წევრი პროფესიონალური კავშირისა,—სამსახურის საქმეთა გამო დანაშაულისათვის ექვემდებარება დისციპლინალურ სასამართლოს.

6. სამსახურებრივ დანაშაულად ჩაითვლება:

ა) დაგვიანება სამუშაოზე; სამუშაოდან წასვლა ან სამუშაოს დადგენილ დრომდე მიტოვება არა პატივსადები მიზეზით;

ბ) მოცდენა არა პატივსადები მიზეზით;

გ) სხვა მუშების მუშაობაზე მოცდენა და მათი მუშაობის ხელის შემშლელი მოქმედება;

დ) დაუდევრობა თავის მოვალეობისადმი, კერძოდ—არაწესიერი მუშაობა, ე. ი ცუდი თვისების ნამუშევრის გაკეთება და აგრეთვე მანქანებისა, მასალისა და სხვ დაუდევრობით წახდენა;

ე) შრომის ნაყოფიერების ნორმის მიუღწევლობა არაპატივსადები მიზეზით;

ვ) წარმოებასა და დაწესებულებაში სისუფთავისა და უსაფრთხოების წესის დარღვევა

ზ) შრომის დაცვისათვის დადგენილ წესების დარღვევა;

თ) სამსახურის დროს კერძო საქმის კეთება;

ი) ხულიგანობა, უმართებულო ყოფა-ქცევა და უხეშობა წარმოებასა და დაწესებულებაში მუშაობის დროს;

კ) უმაღლეს ორგანოთა და პირთა სამსახურებრივი განკარგულების აუსრულებლობა;

ლ) სამუშაოზე უარის თქმა ან თვითნებობით მისი მიტოვება;

მ) უხეში და უყურადღებო მოპყრობა მომსვლელთადმი:

ნ) მომქმედი სატარიფო წესების დარღვევა;

ო) დაშვება დისციპლინის დარღვევისა და აშკარა უთაურობა სამუშაო ძალთა რაციონალურად მოხმარების საქმეში;

პ) წარმოების მუშაობასთან დაკავშირებული წვრილ-წვრილად რისამე მითვისება, თუ ამას არა აქვს ორგანიზაციონური და სისტემატიური ხასიათი;

რ) პირველი საჭიროების საგნებისა და სურსათის დარიგება-განაწილების დროს წარმოებაში ჩადენილი მცირე ბოროტმოქმედება;

ს) შინაგანი წყობილებისთვის დადგენილ წესთა დარღვევა და სხვა ამა დებულებით გაუთვალისწინებელი დისციპლინარული დანაშაული;

7 სანიმუშო სახე სასჯელისა, რომელიც დისციპლინარულ სამხანაგოს შეუძლიან განუჩინოს;

ა) შენიშვნა გაფრთხილებით, თუ რა სასჯელი მოელის დამნაშავეთ შემდეგში;

ბ) საყვედური წარმოებასა, დაწესებულებასა ან პრესაში გამოცხადებით;

გ) სანაჭრო-პრემიალურ გასამრჯელოს ან ნატურალურ პრემიის შემცირება მისი სრულიად ჩამორთმევამდე განსაზღვრულ ვადის განმავლობაში;

დ) გაცდენილი დროის ნაცვლად გადაკვეთილზე ზედმეტი მუშაობა და უქმე-დღეებშიაც ხელფასით თუ უხელფასოთ ზედმეტი მუშაობის დაკისრება;

ე) გადაკვეთილი თუ ზედმეტი სხვა და სხვა სამუშაოს მისჯა წარმოებაში ან დაწესებულებაში;

ვ) დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა სამ თვემდე დაბალი სატარიფო განაკვეთის დანიშვნით;

ზ) საარჩევნო ან პასუხსაგებ თანამდებობის დაჭერის აღკრძალვა სათანადო წარმოებაში და დაწესებულებაში ექვსი თვის ვადამდე;

თ) წარმოებიდან ან დაწესებულებიდან დათხოვნა საკავშირო ორგანიზაციებში საარჩევნო უფლების ჩამორთმევით ექვსი თვის ვადამდე, სათანადო ორგანოთათვის შეტყობინებით;

ი) სამძიმო იძულებითი სამუშაოზე გადაყვანა იმავე წარმოებაში ან მის გარეშე ექვსი თვის ვადამდე თავისუფლების აღუკვეთლად.

8) სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს სხდომები სწარმოებს დროგამოშვებით, საჯაროდ და სამუშაო დროის გარეშე; მისი გადაწყვეტილება გამოეცხადება წარმოებას ან დაწესებულებას.

9. სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქმნეს დაინტერესებულ პირთა მიერ, სათანადო სამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოს მეშვეობით, უმაღლეს სამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოში ხუთი დღის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებისა უმაღლესი სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და სისრულეში მოყვანილ უნდა იქმნეს დაუყოვნებლივ

შენიშვნა: გადაუდებელ და უდავო შემთხვევაში სამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განსაკუთრებული დადგენილება თავის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ, მიუხედავად მისი განსაჩივრებისა ბრალდებულის მიერ.

10. უკეთუ დანაშაული თავისი თვისებით და შედეგებით მეტის სასჯელის დადებას მოითხოვს, ვიდრე ამა დებულებით გათვალისწინებულია ან შეადგენს არა სრულ-წლოვანთათვის საქმეთა კომისიისა, სახალხო სასამართლოსა ან რევოლიუციონური ტრიბუნალების ქვემდებარე საგანს, საქმე გადაეცემა ხსენებულ სასართლოებს კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა: არა სრულ-წლოვანთათვის სამხანიგო დისციპლინარული სასამართლო მიიღებს ზედმოქმედებით ყოველ იმ ღონისძიებას, რომელიც აღნიშნულია ამა დებულების მე-7 მუხლის პუნ. »ა«-დან „თ“-დე

11. სამხანაგო დისციპლინარული სასამართლო კვლევა-ძიებას მოახდენს და საკითხს გამოარკვევს როგორც უშუალოდ, თავის ცალკე წევრთა, ისევე პროფესიონალური კავშირებისა და მუშათა სხვა ორგანიზაციების ორგანოთა მეშვეობით

12. სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს უფლება აქვს მოსთხოვოს ყველა დაწესებულებას და თანამდებობის პირს სასამართლოსთვის საჭირო ცნობები და წარმოუდგინოს გასაცნობად მასალები თუ საბუთები.

13 საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან აასრულონ სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

14. სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს მოქმედების საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა ეკუთვნის საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით.

15. ვიდრე გამოიცემოდეს ინსტრუქცია, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით,—სამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს საქმეების გარჩევის წესი შეფარდებულ უნდა იქმნეს მუშათა, მოსამსახურეთა და დამქირავებელთა შორის თავის გადამწყვეტ საკონფლიქტო დაწესებულებათა დებულებასთან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი**.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ს. ქავთარაძე**.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სხარიძე**.

1921 წ. ნოემბრის 26.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 52.

ქალაქ თბილისის რევოლიუციონურ კომიტეტისა.

ქალაქის რევკომი თანახმად მის მიერ გამოცემულ ბრძანების № 50 მუნიციპალიზაცია ქმნილ ქალ. თბილისში უძრავ ქონებათა შესახებ შეუდგა თავისი აგენტების საშუალებით შეგროვების ყოველგვარ საჭირო ცნობებისა სავაჭრო-სამრეწველო შენობების რეგისტრაციისათვის, და წინადადებას აძლევს ყველას, ვისაც უჭირავს ქალაქში რომელიმე სავაჭრო-სამრეწველო შენობა, ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ ქალაქის რევკომის გადასახადთა ბიუროში შემდეგი ცნობები:

1) სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულების ადგილ მდებარეობა.

2) სახელი, მამის სახელი და გვარი შენობის დამქირავებელისა.

3 მოიჯარადრეს მისამართი.

4 რა წარმოებაა.

5 მოედანი (плошаль), რომელიც დაკავებული აქვს სავაჭრო ანუ სამრეწველო შენობას

და 6.—აქვს თუ არა ვიტრინა, ეზოში გასავალი ანუ საწყობი ადგილი.—მოიჯარადრეთა მიერ წარმოდგენილი ცნობები შეფარდებული იქნებიან ქალაქის რევკომის აგენტების მიერ მოგროვებულ მასალებთან, რომლის თანახმადაც დაწესებულ იქნება საჭირო გადასახადი შენობებზე და გაცემულ იქნება სათანადო სარეგისტრაციო წიგნაკი.

ასეთ წიგნაკების დარიგებამდე კი მოიჯარადრენი ამ ბრძანების გამოცხადებიდან ათი დღის განმავლობაში ვალდებულნი არიან ქალაქის რევკომის სალაროში შეიტანონ მათ მიერ დაკავებულ სავაჭრო შენობების მიმდინარე წლის ნოემბრის ქირა მე-50 ბრძანებაში აღნიშნულ რაოდენობის, თანახმად ყალბი ცნობების მიცემისთვის დამნაშავე დაისჯება რევოლიუციონური კანონების მთელი სისასტიკით.

ყოველგვარ ცნობების და ახსნა განმარტების მიღება შეიძლება ქალაქის რევკომის ხარჯთ-ამკრეფ ბიუროში.

ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ქალ. რევკომის თავმჯდომარე
ა. გეგეჭკორი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის« შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

კომუნისტური ფრაქციის ბიურო მბეჭდავთა კავშირისა

წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, აგრეთვე კომუნისტური ახალგაზრდათა კავშირის წევრებს, პარტიის დისციპლინის ძალით დაესწრონ უსათუოთ

მბეჭდავთა კავშირის საზოგადო კრებას,

მუშათა სასახლის დიდ დარბაზში, კვირას 4 დეკემბერს დილის 10 საათზე.

დღიური წეს-რიგია:

არჩევნები მუშათა დეპუტატების საბჭოში.

ამხანაგები ნუ დაიგვიანებენ.

ბიუროს მდივანი: **მორეტი.**

პარტიული

— 4 დეკემბერს დღით 12 საათზე მუშათა სასახლის დარბაზში, საქართ. კომ. პარ. თბილისის კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილება აწყობს მუშა ქალთათვის მიტინგ-კონცერტს.

მომხსენებლათ გამოვა ამხ. მიშა კახიანი შემდეგ თემაზე: „საბჭოების მნიშვნელობა“.

ქალთა განყოფილება.

პროფესიული

— კვირას, 4 დეკემბერს დილის 10 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგება საზოგადო კრება მბეჭდავთა კავშირის წევრებისა.

დღიური წეს-რიგი:

არჩევნები მუშათა დეპუტატების საბჭოში. ყველა წევრებისთვის დასწრება სავალდებულოა. ამხანაგები ნუ დაიგვიანებენ.

გამგეობის პრეზიდიუმი.

— საბჭოთა მუშაკების პროფესიონალური კავშირი ამით აცნობებს ყველა ადგილკომებს, რომ კავშირის წევრთა რეგისტრაცია დამთავრდა ამა წლის 26 ნოემბერს.

საბჭოთა

— თბილისის მაზრის რევკომის მიწად-მოქმედების კოლეგია აცხადებს, რომ თანახმად ამა წლის 22 ნოემბრის დადგენილებისა მის განკარგულებაში მქონე სახელმწიფო მამულები (ბაღები და ვენახები —ს. ს. ხაშმში, სართიჭალაში, ყარაჯალაში, ავჭალაში, კოდაში, გლდანში, თელეთში და ქოსალარში გადაეცემა დასამუშავებლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ანუ შემდგარ კომუნებს მათთვის ხელსაყრელ პირობებში, მხოლოდ გადაცემის დროს უპირატესობა მიეცემათ კომუნებს; აღნიშნულ მამულების აღების მსურველებს—კერძო პირებს იჯარით და ანუ კომუნებს—სთხოვენ წარადგინონ შესაფერი განცხადებები მაზრის რევკომის მიწად-მოქმედების განყოფილებაში, რომელიც დასდებს მათთან შესაფერ პირობებს—ხელშეკრულობებს.

მიწად-მოქმედების კოლეგია.

ტირაჟი 10,09
ნ. დ. ს. ც.
საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.